



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



CAUCASUS  
OPEN SPACE



# გენდერული ბიუჯეტირება, მუნიციპალური რესურსების და კროგრამების ადგილობრივი მიდგომების შეფასება – გენდერული ნიშნით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალ – ეკონომიკური საჭიროებების ჭრილში

(ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის,  
ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ახმეტის, თელავის,  
ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის და  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების მაგალითზე)  
ავტორები:

სულხან სალაძე, ირმა პავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი  
2023



ავტორები:  
სულხან სალაძე, ირმა პავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი  
2023

კვლევის ხელმძღვანელები და გამოცემაზე პასუხისმგებელი  
პირები: ირმა  
პავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი

© აკრძალულია დოკუმენტში მოყვანილი მასალების  
გადაბეჭდვა, გამრავლება და გავრცელება კომერციული  
მიზნით „ღია სივრცე კავკასიის“ თანხმობის გარეშე.  
თბილისი 2023

მიმოხილვა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის  
შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ღია სივრცე კავკასია  
(COS) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის  
შეხედულებებს.





**ევროკავშირი  
საქართველოსთვის**



**CAUCASUS  
OPEN SPACE**

კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ღია სივრცე კავკასია (COS) და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

**გენდერული ბიუჯეტირება, მუნიციპალური რესურსების და პროგრამების ადგილობრივი მიდგომების შეფასება - გენდერული ნიშნით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციო - ეკონომიკური საჭიროებების ჭრილში**

(ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების მაგალითზე)

**ავტორები:** სულხან სალაძე, თეონა მაჭარაშვილი, ირმა პავლიაშვილი

**კვლევის კოორდინატორები და გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები:** ირმა პავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი

**დიზაინი/დაკაბადონება:** ნათია გაბაძე

© აკრძალულია დოკუმენტში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება და გავრცელება კომერციული მიზნით „ღია სივრცე კავკასიის“ თანხმობის გარეშე.

თბილისი 2023

აბრევიატურა.....	4
მოკლე შეჯამება.....	5
შესავალი.....	8
კვლევის მეთოდოლოგია.....	10
დაბრკოლებები კვლევის მიმდინარეობისას.....	12
კვლევის მიგნებები.....	14
გენდერული თანასწორობის პოლიტიკა მუნიციპალურ დონეზე - მუნიციპალიტეტების 2018-2022 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოები, სამოქმედო გეგმები და გენდერული ბიუჯეტირება.....	18
1. გენდერული თანასწორობის პოლიტიკა მუნიციპალურ დონეზე (ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო და საერთაშორისო სტანდარტები) .....	18
1.1. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო.....	18
1.2. საერთაშორისო სტანდარტები.....	25
2. გენდერული ნიშნით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალ - ეკონომიკური საჭიროებები და გამონწვევები.....	32
2.1. გენდერული სტატისტიკა და საჭიროებათა კვლევა მუნიციპალურ დონეზე. ....	32
2.2. გენდერული ბიუჯეტირება მუნიციპალურ დონეზე .....	33
2.3. გენდერული საბჭოები და ქალთა ოთახები მუნიციპალიტეტებში.....	34
2.4. ოჯახში, გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება მუნიციპალიტეტის მიერ და გენდერული გავლენის შეფასება.....	35
2.5. ძალადობა მართლმსაჯულების სისტემის წინაშე პატარა ქალაქებში.....	37
2.6. საზოგადოებრივი დამოკიდებულებები ძალადობის მიმართ, ცნობიერება და ინფორმირება.....	38
2.7. მობილობა და მესამე სივრცის საჭიროება.....	39
2.8. ფინანსური დამოუკიდებლობა, სწავლების ადგილობრივი შესაძლებლობები და ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობის შესაძლებლობები .....	40
3. მუნიციპალიტეტების 2018-2022 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოები, სამოქმედო გეგმები და გენდერული ბიუჯეტირება.....	42
3.1. გენდერული თანასწორობის საბჭოები და მათი საქმიანობა (სხდომები).....	42
3.2. გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმები.....	46
3.2.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.....	49

3.2.2. ონის მუნიციპალიტეტი.....	52
3.2.3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი.....	54
3.2.4. თელავის მუნიციპალიტეტი .....	56
3.2.5. საჩხერის, ტყიბულის, ცაგერის, ახმეტის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, ლენტეხის, სიღნაღის, ჭიათურის და ხარაგულის მუნიციპალიტეტები.....	61
3.3. საქმიანობის ამსახველი ანგარიშები.....	62
3.4. მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ გვერდზე გენდერული თანასწორობის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია.....	64
3.4.1. ვებ-გვერდების ანალიზი.....	68
3.4.2. მუნიციპალური ბიუჯეტების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.....	72
4. 2018-2022 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამები.....	77
შეტამება.....	88
რეკომენდაციები.....	89
ბიბლიოგრაფია.....	92
დანართები.....	95

## აბრევიატურა

---

BPfA - პეკინის სამოქმედო პლატფორმა

CEDAW- გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

ECHR - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

ICCPR - გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი

ICESCR - სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ საერთაშორისო უფლებათა პაქტი

SDG - მდგრადი განვითარების მიზნები

GIA - გენდერული გავლენის შეფასება

## მოკლე შეჯამება

---

ეროვნულ თუ მუნიციპალურ დონეზე საკანონმდებლო-პოლიტიკურ წიაღში მრავალი ხელშესახები მიღწევის მიუხედავად, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული მენისტრამინგი, მათ შორის გენდერული თანასწორობის საბჭოების ეფექტიანი, შედეგზე ორიენტირებული საქმიანობა და გენდერული ბიუჯეტირება.

მუნიციპალიტეტები უშუალო რგოლია, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ.<sup>1</sup> შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მჭიდრო ურთიერთობა და მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ მოსახლეობის საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ. მათ შორის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის საკითხების შესახებ, რათა უზრუნველყონ ადგილობრივი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარება და გენდერული მენისტრამინგი.

ქალები დღემდე აწყდებიან წინააღმდეგობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. არსებული გენდერული უთანასწორობა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უთანასწორობას ეფუძნება. კიდევ უფრო მწვავე მდგომარეობაში არიან ის ქალები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გამო (მაგალითად, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში/სოფლად მცხოვრები ქალები, რელიგიური ან/და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, შშმ ქალები, ხანდაზმულები, ბავშვები, ლბტი ქალები) ინტერესეციური დისკრიმინაციის რისკის ქვეშ არიან.

გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრამინგის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის, მათ შორის ადგილობრივ დონეზე, მიმართლება უნდა იყოს:

- მტკიცებულებებსა და კვლევაზე დაფუძნებული სახელმწიფოს კომპლექსური პოლიტიკის ინკლუზიური შემუშავება/გატარება;
- სახელმწიფო უწყებების, მათ შორის გენდერული თანასწორობის მექანიზმების გაძლიერება და საჯარო მოხელეების საგანმანათლებლო/პროფესიული პროგრამების მხარდაჭერა.

კვლევა „გენდერული ბიუჯეტირება, მუნიციპალური რესურსების და პროგრამების ადგილობრივი მიდგომების შეფასება - გენდერული ნიშნით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციო - ეკონომიკური საჭიროებების ჭრილში“ მიზნად ისახავს

---

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის მექანიზმების - გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის და მისი პრაქტიკაში აღსრულების საკითხების შესწავლას. რამდენად ეხმიანება მუნიციპალური გენდერული საბჭოების საქმიანობა და მუნიციპალური ბიუჯეტი, როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ეროვნულ ჩარჩო სტრატეგიას/სამოქმედო გეგმას და კანონმდებლობას, აგრეთვე, რამდენად ასახავს ის ადგილზე არსებულ საჭიროებებს გენდერული მენისტრიმინგის ფარგლებში. კერძოდ: ერთი მხრივ, სამაგიდე კვლევის ფარგლებში, შეფასდა მუნიციპალური ბიუჯეტირების საკითხები, გენდერული მენისტრიმინგი ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის, რეაგირების, მსხვერპლთათვის სერვისების მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით არსებული და დაგეგმილი საქმიანობის შესაბამისობა არსებულ საჭიროებებსა და გამონვევებთან. ხოლო მეორე მხრივ, ფოკუს ჯგუფების მეშვეობით, გამოიკვეთა ქალების საჭიროებები ადგილობრივ დონეზე და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მხარდამჭერ პროგრამებზე.

კვლევის შედეგად კვლავაც დადასტურდა ძლიერი კავშირი სიღარიბის ფემინიზაციასა და გენდერულ, ოჯახში ძალადობას შორის. სიღარიბე, ისევე როგორც სოციალურ-ეკონომიკური დაცვის მექანიზმების სიმწირე მუნიციპალურ დონეზე, გავლენას ახდენს ძალადობრივი გარემოს ფორმირებასა და შენარჩუნებაზე.

მონაცემების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი მიგნებები და შემუშავებული რეკომენდაციები წარმოდგენილია დოკუმენტის ცალკე თავში.

ძირითადი მიგნებები:

- **კომპლექსური პოლიტიკის არარსებობა:** მათ შორის არაეფექტურია კომუნიკაცია ცენტრალურ და ადგილობრივ გენდერულ საბჭოებს შორის, რის შედეგადაც ადგილობრივ თვითმმართველობებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, ძალადობისგან დაცვის თანამედროვე სტანდარტებზე, განახლებულ კანონმდებლობაზე;
- **გენდერული მექანიზმების გათიშულობა და გენდერული თანასწორობის ფრაგმენტული პოლიტიკა:** შესწავლილ მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი მექანიზმების (გენდერული თანასწორობის საბჭოები) პოლიტიკა ფრაგმენტულია. არსებობს თანმიმდევრული, ურთიერთდაკავშირებული სისტემა გენდერული მენისტრიმინგის დასანერგად;



- **გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებების ფორმალური ხასიათი:** გენდერული თანასწორობის საბჭოების მიერ, სამოქმედო გეგმებით აღებული ის ვალდებულებები, რომელიც გენდერულ ბიუჯეტირებას უკავშირდება, ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და ისინი არ არის ჰარმონიზირებული ეროვნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან;
- **ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხი:** გენდერული თანასწორობის საბჭოების მხრიდან დაბალია მუნიციპალიტეტების საკრებულოების მიმართ ანგარიშვალდებულების ხარისხი;
- **გენდერული თანასწორობის საბჭოების ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობა:** მუნიციპალიტეტების 2018-2022 წლების ბიუჯეტების მაგალითზე, იშვიათია შემთხვევები, რა დროსაც ბიუჯეტებში ცალკე თანხაა მიმართული გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით;
- **მუნიციპალური ბიუჯეტების და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ხელმისაწვდომობის პრობლემა:** მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე არ ხდება ინფორმაციის დროული განახლება, დადგენილი წესით ბიუჯეტის (კონსოლიდირებული სახით) და ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების გამოქვეყნება. ინფორმაცია არ არის სრულყოფილი;
- **გენდერული სტატისტიკის ფრაგმენტულობა, რაც შეუძლებელს ხდის ჩატარდეს გენდერულ საჭიროებათა ყოვლისმომცველი კვლევა და მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტების გენდერული გავლენის შეფასება.** აღნიშნული ყველაზე კარგად ჩანს გენდერული ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილში: გენდერული ბიუჯეტის ხარჯვა ძირითადად არ განსხვავდება ჩვეულებრივი პროგრამული ხარჯვისაგან;
- **სიღარიბის ფემინიზაცია გამოიხატება მათ შორის, ქალების შესაძლებლობაში, თავი დააღწიონ ძალადობრივ გარემოს:** მრავალ შემთხვევაში, ქალებისთვის რთულია მოძალადისაგან განცალკევება დამოუკიდებელი საცხოვრებლისა თუ შემოსავლის არარსებობის გამო;
- **„მესამე სივრცისა“ და ეფექტური მობილობის არარსებობა:** მუნიციპალიტეტებში არ არსებობს ე.წ. „მესამე“ დაცული სივრცე, რაც აუცილებელია, რათა ქალებმა მიიღონ წვდომა ინფორმაციაზე. ამავდროულად, მუნიციპალური ცენტრების გარდა, თითქმის არსად არ არის ხელმისაწვდომი საჯარო ტრანსპორტი, რის შედეგადაც ქალების მობილობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია.

*„მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.“*

*„მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები... გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების... და სხვა მიზნებით.“*

*საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.<sup>2</sup>*

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ, მათ შორის, გენდერული თანასწორობის მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და სწორედ მასზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებით შესრულდება პრაქტიკაში ის ვალდებულებები, რომლებიც თვითმმართველობას აკისრია სხვადასხვა საკანონმდებლო-პოლიტიკური მექანიზმებიდან გამომდინარე (როგორცაა თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები, ასევე, გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების, ჩარჩო შეთანხმებების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები).

განსაკუთრებით საყურადღებოა გენდერული თანასწორობის საბჭოები, რომლებიც მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის მექანიზმს წარმოადგენენ და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებას უზრუნველყოფენ. ისინი პირდაპირ დამოკიდებული არიან მუნიციპალურ ბიუჯეტზე და შესაბამისად, მათი საქმიანობის წარმატებაც პირდაპირ გამომდინარეობს გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირებიდან.

საყურადღებოა მუნიციპალიტეტების განსაკუთრებული როლი გენდერული თანასწორობის განმსაზღვრელი სამართლებრივი-პოლიტიკური მექანიზმების პრაქტიკულ აღსრულებაში: მიუხედავად საკითხის მრავალმრიანი და კომპლექსური ბუნებისა, სწორედ თვითმმართველობაა ხელისუფლების ის რგოლი, რომელსაც

<sup>2</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მე-16 მუხლი, 2014 წ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=67>

პირდაპირი და უშუალო კავშირი აქვს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც მის განსაკუთრებულ პოზიციონირებას განაპირობებს გენდერული თანასწორობისა და ძალადობის პრევენციის მიმართულელებით.

ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოსადმი წარმოდგენილი 12 პრიორიტეტის ფარგლებში, მე-9 რეკომენდაცია გენდერულ თანასწორობას და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ძალისხმევის გაძლიერებას ეთმობა.<sup>3</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის შემდგომი ხელშეწყობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი პოლიტიკის ხელშეწყობისათვის, კვლევაში გაანალიზდა გენდერული თანასწორობის საბჭოების მონაწილეობა იმ სოციალური და ეკონომიკური პროგრამების შემუშავების პროცესში, რომლებიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას, ქალთა უფლებების დაცვას და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი პირების გაძლიერებას; ის საჭიროებები, რომლებიც ადგილზე აქვთ ქალებს და რა ინფორმაციას ფლობენ მხარდამჭერ პროგრამებზე.

შესაბამისად, კვლევის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მიდგომის დამკვიდრება და გენდერული თანასწორობის მუნიციპალური მექანიზმების გაძლიერება.

---

<sup>3</sup> ევროკომისია, მოსაზრება საქართველოს მიერ ევროკავშირში განწევრიანების განაცხადის შესახებ, 2022. ხელმისაწვდომია: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda\\_22\\_3800](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800)

## კვლევის მეთოდოლოგია

---

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და ადგილობრივი გამოცდილება 2018-2022 წლების მიხედვით, კერძოდ, მონაცემების თუ ინფორმაციის შესაგროვებლად და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გასაანალიზებლად ჩატარდა სამაგიდე კვლევა და თვისებრივი ანალიზი.

სამაგიდე კვლევისას გაანალიზდა პირველადი და მეორეული წყაროები, ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო და საერთაშორისო სტანდარტები: საქართველოს კონსტიტუცია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია, ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია 2022-2030, სახელმწიფოს ახალი კონცეფცია გენდერული თანასწორობის შესახებ და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია. ამავდროულად, ყურადღება გამახვილდა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიხედვით მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის დაცვის მექანიზმებზე - საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ ასპექტებზე (საბჭოების სამოქმედო გეგმები, სხდომები, განხილული საკითხები, საქმიანობის ამსახველი ანგარიშები და საქმიანობის გამჭვირვალობა).

კვლევის მომზადების დროს გამოყენებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოებიდან გამოთხოვილი ოფიციალური საჯარო ინფორმაცია. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის მექანიზმების - გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის ანალიზთან ერთად, ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტების შესაბამისი წლების ბიუჯეტებსა და ამ ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშებზე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არის გამოქვეყნებული.

პარალელურად ბიუჯეტებთან დაკავშირებული გადანაცვებების ანალიზის დროს, დამუშავდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რესურსი. გარდა აღნიშნული წყაროებისა, კვლევის ტექსტზე მუშაობის დროს არაერთხელ იქნა გამოყენებული მეორეული წყარო - მონიტორინგის ანგარიში და ოფიციალური დოკუმენტები, რომელიც ანგარიშის მომზადების დროს გახდა ხელმისაწვდომი.<sup>4</sup>

---

<sup>4</sup> მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო (ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის,

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტების 2018-2022 წლების ბიუჯეტებთან მიმართებით, გენდერული ბიუჯეტირების საკითხები გაანალიზდა იმგვარად, რომ ამ პროცესში გენდერული თანასწორობის მექანიზმების მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების როლი და ადგილი გამოკვეთილიყო. ასევე, განხილულია ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომი სოციო - ეკონომიკური პროგრამები და მტკიცებულებებზე დაფუძნებით შემუშავდა რეკომენდაციები.

თვისებრივი ანალიზის კუთხით, სავსე სამუშაოების ფარგლებში, კვლევითი ჯგუფი ესტუმრა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის (ონი, ლენტეხი, ცაგერი, ამბროლაური), მაღალმთიანი იმერეთის (ხარაგაული, ჭიათურა, საჩხერე, ტყიბული) და კახეთის (საგარეჯო, გურჯაანი, ლაგოდეხი, თელავი, ყვარელი) მუნიციპალიტეტებს.<sup>5</sup>

წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები ადგილობრივი თვითმმართველობის, გენდერული საბჭოების წარმომადგენლებთან, ასევე, ქალებთან (ძალადობის მსხვერპლ ქალებთან, ასევე, სოციალურად დაუცველ, შშმ, მარტოხელა დედებთან, და სხვა ქალებთან, ვინც წარმოადგენს მაღალი რისკის ჯგუფს ძალადობის მხრივ). ჯამში, ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა დაახლოებით 230-მა რესპოდენტმა მიიღო.

---

საგარეჯოს, სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების მაგალითზე), ღია სივრცე კავკასია, თბილისი, 2022 წ.;

<sup>5</sup> სიღნაღში შეხვედრა ჩატარდა მხოლოდ ქალებს ჯგუფთან, თუმცა ვერ მოხერხდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან. დედოფლისწყაროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში შეხვედრა რამდენიმე მკვლელობის მიუხედავად, ვერ ჩაინიშნა.

კვლევაზე მუშაობის დროს მთავარ სირთულეს მუნიციპალიტეტებიდან შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მოპოვება წარმოადგენდა. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მუნიციპალიტეტების უმრავლესობიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა. 2022 წელს პროექტის ფარგლებში მომზადებული მონიტორინგის<sup>6</sup> შედეგად შეგროვებულ საჯარო ინფორმაციის და მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, განცხადება საჯარო ინფორმაციის მონოლების თაობაზე წარდგენილი იქნა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ამბროლაური,<sup>7</sup> ონის,<sup>8</sup> საჩხერე,<sup>9</sup> ტყიბული,<sup>10</sup> ცაგერი,<sup>11</sup> თელავი,<sup>12</sup> ახმეტა,<sup>13</sup> ლაგოდეხი<sup>14</sup> და საგარეჯო.<sup>15</sup> რაც შეეხება ლენტეხის, ხარაგაულის, ჭიათურის, გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს, წინამდებარე კვლევაზე მუშაობის დროს საჭირო საჯარო ინფორმაციის შეგროვება, ძირითადად მუნიციპალიტეტების 2018-2022 წლების ბიუჯეტების და აღნიშნული ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების მიხედვით განხორციელდა,<sup>16</sup> რა დროსაც მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდები და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რესურსი იქნა გამოყენებული.

ამბროლაურის, ონის, საჩხერის, ტყიბულის, ცაგერის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში წარდგენილი განცხადებებიდან, პასუხი მხოლოდ ოთხმა: ამბროლაურის,<sup>17</sup> ონის,<sup>18</sup> თელავის<sup>19</sup> და ლაგოდეხის<sup>20</sup>

<sup>6</sup> იქვე;

<sup>7</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/49-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>8</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/50-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>9</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/51-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>10</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/52-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>11</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/53-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>12</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/54-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>13</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/55-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>14</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/56-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>15</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/57-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>16</sup> აღნიშნულის მიზეზს, ლენტეხის, ხარაგაულის, ჭიათურის, გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების მხრიდან, ღია სივრცე კავკასიის მიერ, 2022 წელს მომზადებული კვლევისას: "მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო (ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების მაგალითზე)", მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა წარმოადგენს;

<sup>17</sup> ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 19 დეკემბრის #77-77223532 წერილი;

<sup>18</sup> ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 14 დეკემბრის #79-7922348001 წერილი;

<sup>19</sup> თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 12 დეკემბრის წერილი ელ.ფოსტაზე;

<sup>20</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 23 დეკემბრის 92-922235724 წერილი;

მუნიციპალიტეტებმა გასცეს. თუმცა, არცერთ შემთხვევაში მონოდებული ინფორმაცია არ იყო სრულად თანხვედრაში განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციასთან.

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის მომზადების დროს მნიშვნელოვან წყაროს წარმოდგენდა მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდები, არაერთხელ იქნა გადამოწმებული ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. თუმცა, მთელ რიგ შემთხვევაში გამოქვეყნებული ინფორმაცია არ იყო სრული და/ან ვებ-გვერდები იყო გაუმართავი. შესაბამისად, კვლევის დასრულების შემდეგ, 2023 წლის მაისის თვეში კიდევ ერთხელ მოხდა მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გადამოწმება.

2023 წლის მარტი-თებერვლის მოვლენების ფონზე, რიგ მუნიციპალიტეტებში გართულდა თანამშრომლობის ფორმატი. სიღნაღში შეხვედრა ჩატარდა მხოლოდ ქალების ჯგუფთან, თუმცა ვერ მოხერხდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან. დედოფლისწყაროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში შეხვედრა რამდენიმე მსცდლობის მიუხედავად, ვერ ჩაინიშნა.

## კვლევის მიგნებები

კვლევის ძირითადი მიგნებები წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის, 2018-2022 წლების ბიუჯეტების, ამ პროცესში გენდერული თანასწორობის საბჭოების როლისა და მათ მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული საკითხების/საქმიანობის, აგრეთვე, კვლევითი ჯგუფის მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგების მიხედვით გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე. აღნიშნულის გათვალისწინებით იკვეთება:

**კომპლექსური პოლიტიკის არ არსებობა:** მათ შორის არაეფექტურია კომუნიკაცია ცენტრალურ და ადგილობრივ გენდერულ საბჭოებს შორის, რის შედეგადაც ადგილობრივ თვითმმართველობებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, ძალადობისგან დაცვის თანამედროვე სტანდარტებზე, განახლებულ კანონმდებლობაზე. შედეგად, ფერხდება მუნიციპალიტეტების ვალდებულება - დამოუკიდებლად დაადგინონ მსხვერპლის სტატუსი;

**გენდერული მექანიზმების გათიშულობა ადგილობრივ დონეზე და საქმიანობის ფრაგმენტულობა:** ინფორმაციის დამუშავებამ ცხადყო, რომ უმეტეს შემთხვევაში, არ არსებობს თანმიმდევრული, ურთიერთდაკავშირებული სისტემა გენდერული მეინსტრიმინგის მუნიციპალიტეტებში დასაწერად. ადგილობრივი ბიუჯეტი ძირითადად ფორმირდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის: ა. თვითღირებით მიღებული ინფორმაციით და მოქალაქეების განცხადებებში ასახული საჭიროებების მარტივი რაოდენობრივი შეჯამებით; ბ. ქაოტურად და არასისტემურად, მუნიციპალიტეტთან დაახლოებულ ჯგუფებში ხანმოკლე დისკუსიების საფუძველზე. შესაბამისად, ბიუჯეტის ფორმირება არ მისდევს გენდერული პოლიტიკის/სამოქმედო გეგმის/ ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ინდიკატორებს (მეტიც, უმრავლეს შემთხვევებში, გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით ჩამოყალიბებული ამოცანები დიდწილად ზოგადი და დეკლარაციული ხასიათისაა და არ მოიცავს კონკრეტულ ინდიკატორებს). შესაბამისად, გათიშულობა გენდერულ სამოქმედო გეგმებს/სტრატეგიებსა და ბიუჯეტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც შეუძლებელს ხდის ამ მიმართულებით საფუძვლიანი პროგრესის მიღწევას;

**გენდერული ბიუჯეტირებისთვის აუცილებელი კომპონენტი - გენდერული მონაცემები/სტატისტიკა უმეტეს შემთხვევაში არ მუშავდება ან არ მუშავდება სათანადოდ:** განხილულ უმრავლეს შემთხვევაში, არ არსებობს გენდერულ მონაცემთა სრულყოფილი ბაზები, მიუხედავად იმისა, რომ (თუ არ ჩავთვლით საქსტატის მიერ მაკრომონაცემების შეგროვების ვალდებულებას), ადგილობრივ დონეზე ყველაზე მეტი შესაძლებლობა, წვდომა და პასუხისმგებლობა გენდერული სტატისტიკის წარმოებაზე,



სწორედ მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ. უმრავლეს შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებს აქვთ მოქალაქეების განცხადებების (თვითდინების) საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, წინა წლის მოქალაქეების მიერ წარდგენილი ჯამური მოთხოვნების შესახებ. თუმცა, არ ხორციელდება არც ინფორმაციის პროაქტიული შეგროვება, არც თვითდინებით მიღებული ინფორმაციის გენდერული ანალიზი (რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ სქესის მიხედვით მონაცემების ჩაშლას, არამედ ასევე ქალების სოციალური წინაპირობებით გამოწვეულ საჭიროებებს, როგორცაა ხელმისაწვდომობა მზრუნველობის სერვისებზე, ტრანსპორტზე, და ა.შ.). **სტატისტიკის ფრაგმენტულობა კი შეუძლებელს ხდის ჩატარდეს გენდერულ საჭიროებათა ყოვლისმომცველი კვლევა და მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტების გენდერული გავლენის შეფასება.** აღნიშნული ყველაზე კარგად ჩანს გენდერული ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილში: გენდერული ბიუჯეტის ხარჯვა, ძირითადად არ განსხვავდება ჩვეულებრივი პროგრამული ხარჯვისაგან. აღნიშნულის გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთია გენდერული საჭიროებების შესახებ სისტემური ცოდნის არარსებობა, შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ იყენებს ეფექტურად გენდერული ბიუჯეტირების მექანიზმს, როგორც შესაძლებლობას, შეიქმნას ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რომელიც ქალებს ხელს შეუწყობს თავი დააღწიონ სიღარიბეს გრძელვადიან პერსპექტივაში;

**იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილია გენდერული კომპონენტი, მისი ხარჯვა ხდება ჩვეულებრივი წესით:** მიუხედავად იმისა, რომ გენდერული ბიუჯეტირების საერთაშორისო მოდელები ცნობენ გენდერული ბიუჯეტირების რამდენიმე შესაძლო ამოცანას, საქართველოში, მუნიციპალიტეტები ზოგადი ხასიათის „გენდერულ მუხლს“ გამოყოფენ მუნიციპალურ ბიუჯეტში, ყოველგვარი მიზნისა და ამოცანების გარეშე;

**გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებები ფორმალური ხასიათისაა:** გენდერული თანასწორობის საბჭოების მიერ, სამოქმედო გეგმებით აღებული ის ვალდებულებები, რომელიც გენდერულ ბიუჯეტირებას უკავშირდება, უმეტესად არ სრულდება და ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამავდროულად, სამოქმედო გეგმებში მითითებული ვალდებულებები ხშირ შემთხვევაში მეორდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტს შორის, მიუხედავად მუნიციპალიტეტების განსხვავებული კონტექსტისა და საჭიროებებისა, რაც წარმოშობს ეჭვს, რომ სამოქმედო გეგმების ფორმირება ფორმალურად ხდება, საჭიროებების ანალიზის და ადგილობრივ კონტექსტზე მისადაგების გარეშე. არსებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები არ არის ჰარმონიზირებული ეროვნულ პოლიტიკის

დოკუმენტებთან - ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან;

**გენდერული თანასწორობის საბჭოების ანგარიშვალდებულების ხარისხი დაბალია:** გენდერული თანასწორობის საბჭოების მხრიდან დაბალია მუნიციპალიტეტების საკრებულოების მიმართ ანგარიშვალდებულების ხარისხი. იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ ხდება განუყოფელი საქმიანობის ამსახველი ანგარიშების საკრებულოსთვის წარდგენა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო, საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს, უცნობია ეს ანგარიში მოიცავს თუ არა გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ სახითხებს;

**გენდერული თანასწორობის საბჭოების ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობა:** მუნიციპალიტეტების 2018-2022 წლების ბიუჯეტების მაგალითზე, იშვიათია შემთხვევები, რა დროსაც ბიუჯეტებში ცალკე თანხაა მიმართული გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. მთელ რიგ შემთხვევებში, საბჭოს საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით გათვალისწინებული თანხები, წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არის შემცირებული საბიუჯეტო ცვლილებების გზით. 2018-2022 წლებში, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების მხარდაჭერის მიზნით გამოყოფილი მწირი დაფინანსების საპირისპიროდ არარეალისტურად მაღალია პროგრამებით მისაღწევი შედეგები;

**მუნიციპალური ბიუჯეტების და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ხელმისაწვდომობის პრობლემა:** მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე არ ხდება ინფორმაციის დროული განახლება, დადგენილი წესით ბიუჯეტის (კონსოლიდირებული სახით) და ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების გამოქვეყნება. მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული და მათ ვებ გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ბიუჯეტებისა და ანგარიშების შესახებ, არ არის სრულყოფილი და ხშირ შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის.

**სიღარიბის ფემინიზაცია გამოიხატება მათ შორის, ქალების შესაძლებლობაში, თავი დააღწიონ ძალადობრივ გარემოს:** მრავალ შემთხვევაში, ქალებისთვის რთულია მოძალადისაგან განცალკევება დამოუკიდებელი საცხოვრებლისა თუ შემოსავლის არარსებობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტები ასახელებენ „საცხოვრებლის ქირას“, რიგ შემთხვევებში, გენდერული ბიუჯეტირების ნაწილში, მსგავსი შემთხვევები მაინც მწირია, დაბალი მიმართვიანობის გამო, რაც თავის მხრივ, გამონეუელია მრავალი ფაქტორით (როგორცაა, დასული/კონფიდენციალური საცხოვრისის ხელმისაწვდომობის გამონეუვა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, მსხვერპლის შიში, მდგრადი და გრძელვადიანი გამოსავლის - შემოსავლის წყაროს არარსებობა და სხვა). ამავდროულად, მწირია შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეობა (მათ შორის,

საცხოვრებელი) თანაბრად ნაწილდებოდეს ქალ და კაც მემკვიდრეებს შორის, რადგანაც ტრადიციულად, საცხოვრებელი გადაეცემა მემკვიდრეობით კაცებს, კანონით განსაზღვრული თანაბარი უფლებების მიუხედავად;

**„მესამე სივრცისა“ და ეფექტური მობილობის არარსებობა:** მუნიციპალიტეტებში არ არსებობს ე.წ. „მესამე“ დაცული სივრცე, რაც აუცილებელია, რათა ქალებმა მიიღონ წვდომა ინფორმაციის როგორც მიღების, ისე გავრცელების პლატფორმაზე, სოციალურ მხარდაჭერაზე, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში - რაც ერთობლიობაში, შეადგენს დაცვის არაფორმალურ მექანიზმებს. ამავდროულად, მუნიციპალური ცენტრების გარდა, თითქმის არსად არ არის ხელმისაწვდომი საჯარო ტრანსპორტი, რის შედეგადაც ქალების მობილობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია - კერძო ტრანსპორტის მარშრუტი, მოძრაობის რეგულარობა, ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა არ აძლევს ქალებს შესაძლებლობას, სისტემურად დაგეგმონ და განახორციელონ პირადი განვითარება, სოციალიზაცია, პროფესიული და საერთო ჯამში - სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რაც თავის მხრივ ინარჩუნებს მათ მონყვლადობას ძალადობის მიმართ.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკა მუნიციპალურ დონეზე - მუნიციპალიტეტების 2018-2022 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოები, სამოქმედო გეგმები და გენდერული ბიუჯეტირება

---

1. გენდერული თანასწორობის პოლიტიკა მუნიციპალურ დონეზე (ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო და საერთაშორისო სტანდარტები)

1.1. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

---

თანასწორობასთან დაკავშირებულ მკაფიო დემოკრატიული შინაარსის პირველ ჩანაწერს, ჯერ კიდევ 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუციაში ვხვდებით, სადაც ჩაინერა შემდეგი:

*„ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.“<sup>21</sup>*

საკანონმდებლო ჩარჩოზე საუბრის დროს, პირველ რიგში, ქვეყნის უზენაესი კანონი, საქართველოს კონსტიტუცია უნდა გამოვყოთ, სადაც თანასწორობის საკითხებს, ცალკე მუხლი ეთმობა. კონსტიტუციის თანახმად:

*„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“<sup>22</sup>*

კიდევ ერთი ჩანაწერის მიხედვით კი: „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“<sup>23</sup>

კონსტიტუციაში ასახული ეს დათქმა ერთგვარი სახელმძღვანელო ჩანაწერია სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისათვის. შესაბამისად, ქვეყანაში არსებული უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან

---

<sup>21</sup> საქართველოს კონსტიტუცია (მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს), მუხლი 39;

<sup>22</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, ნაწილი 1;

<sup>23</sup> იქვე;

იმგვარად წარმართონ საქმიანობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს გენდერული თანასწორობა.

თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების კიდევ უფრო მეტი დეტალიზაცია, 2010 წლის 26 მარტს, საქართველოს პარლამენტის მიერ - გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონში (შემდგომში - კანონი) ხდება. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს, როგორც რეგულირების სფეროს, ისე მიზნებს. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მიზნად მიჩნეულია, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითადი გარანტიების შექმნა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივი მექანიზმების და პირობების უზრუნველყოფა.<sup>24</sup>

თავის მხრივ, კანონის მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგი ფორმით: უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.<sup>25</sup> კანონის თანახმად, განსაზღვრულია ისეთი საკითხები, როგორცაა: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები საოჯახო ურთიერთობების, განათლებისა და მეცნიერების სფეროში. ასევე, შრომითი ურთიერთობების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მიმართულებით, საქონლის ან მომსახურების მიწოდების და ხელმისაწვდომობის სფეროებში.


კანონი ეხება გენდერულ სფეროში სტატისტიკის წარმოებას, საინფორმაციო რესურსების თანაბარ ხელმისაწვდომობას და თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიებს.

ცალკე თავი ეთმობა გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობას. შესაბამისად, კანონი ეროვნულ დონეზე გენდერული თანასწორობის დაცვის მექანიზმებს ადგენს და განსაზღვრავს თითოეულ ინსტიტუციას, რომელიც ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობს:

---

<sup>24</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 1. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2239554?publication=0>

<sup>25</sup> იქვე;



**- საქართველოს პარლამენტი**

საქართველოს პარლამენტის კომპეტენციას განეკუთვნება: გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფა, შესაბამისი სტრატეგიის განიხილვა და დამტკიცება, გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლი.<sup>26</sup>

პარლამენტში შექმნილია გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, რომლის შექმნის წესი, შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით და საბჭოს დებულებით.<sup>27</sup>

**- საქართველოს მთავრობა**

გენდერულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის ვალდებულებას წარმოადგენს, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიის შექმნა.<sup>28</sup>

**- ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები**

ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების (შემდგომში, ა.რ.) ვალდებულებას წარმოადგენს საქართველოსა და ა.რ. კანონმდებლობების თანახმად ისეთი ღონისძიების შემუშავება და განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.<sup>29</sup>

<sup>26</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 12, პუნქტი 1;  
<sup>27</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 12, პუნქტი 2;  
<sup>28</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 12, პუნქტი 6;  
<sup>29</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 12<sup>1</sup>, პუნქტი 1;

ა.რ. უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებში შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის მიზანსაც წარმოდგენს საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.<sup>30</sup>

#### - მუნიციპალიტეტები

მუნიციპალიტეტის დონეზე, მუნიციპალიტეტის ორგანოების ვალდებულებას წარმოადგენს დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. პარალელურად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვალდებულებას წარმოადგენს მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭო შექმნა, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.<sup>31</sup>

კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია, განსაზღვროს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, რომლის ვალდებულებაც მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლა, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვა და შესაბამისი ღონისძიებების კოორდინაციაა.<sup>32</sup>

ზემოთ აღნიშნულის პარალელურად, მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტების დახმარება მათ საქმიანობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიმართულებით.<sup>33</sup>

#### - სახალხო დამცველი

გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებით, სახალხო დამცველს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს, რაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის დაცვის მონიტორინგს და დარღვევებზე რეაგირებას გულისხმობს.<sup>34</sup>

საქართველოს საკანონმდებლო-პოლიტიკურ ჩარჩოში გენდერული თანასწორობის არსებულ გარანტიებსა და მექანიზმებს შორის, განსაკუთრებული

<sup>30</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 12<sup>1</sup>, პუნქტი 2;

<sup>31</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 13, პუნქტი 1, 1<sup>1</sup>;

<sup>32</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 13, პუნქტი 1<sup>2</sup>;

<sup>33</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 13, პუნქტი 3;

<sup>34</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 14, პუნქტი 1;

როლი აქვს ე.წ. გენდერულ ბიუჯეტირებას, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს საკანონმდებლო-პოლიტიკური ვალდებულებების შესრულების მექანიზმს.

საქართველოს კანონმდებლობაში ცალკე აღებული „გენდერული ბიუჯეტირების“ განმარტება არ არსებობს. თუმცა, მოქმედ საკანონმდებლო აქტებში არაერთი მნიშვნელოვანი ჩანაწერია, რომელიც გენდერულ ან უფრო ვიწროდ, კაცებისა და ქალების არსებით თანასწორობას უკავშირდება და ირიბად ქმნის გენდერული ბიუჯეტირების განმარტების ჩარჩოს (მათ შორის, ანგარიშვალდებულების, თანასწორობისა და რესურსების გონივრული გადანაწილებიდან გამომდინარე ჩანაწერების ერთობლიობა). სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ გენდერული ბიუჯეტირების არსი, რომლის პრაქტიკაში ეფექტური დანერგვა არსებითი თანასწორობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, გენდერული ბიუჯეტირება თავის თავში ორ საკითხს, გენდერულ თანასწორობას და საჯარო ფინანსების მართვას აერთიანებს.<sup>35</sup>

ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, მნიშვნელოვანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, რიგ საკითხებთან ერთად, განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნებით. ამავე ორგანული კანონის მიხედვით, „საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა“.<sup>36</sup>

ამავდროულად, მნიშვნელოვანი ჩანაწერი არსებობს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლში, რომელიც მუნიციპალიტეტების მიერ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას უკავშირდება. სხვა საკითხების პარალელურად, აღნიშნული მუხლი ადგენს, რომ „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.“<sup>37</sup> ამ კონტექსტში განსაკუთრებული როლი ეკისრება მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებს. როგორც წესი, მათი ეფექტური საქმიანობა დიდწილად უნდა განსაზღვრავდეს მუნიციპალიტეტების

<sup>35</sup> შორენა კახიძე, „დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტი მუნიციპალიტეტებისათვის გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე“, გვ. 6, EPRC, თბილისი, 2020;

<sup>36</sup> საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=66>

<sup>37</sup> საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 13, პუნქტი 2;



რეალურ დამოკიდებულებას გენდერული თანასწორობის, მათ შორის გენდერული ბიუჯეტირების მიღწევის პროცესში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ჭრილში, მნიშვნელოვანია აგრეთვე 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია. „დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №678 დადგენილების თანახმად, 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ერთ-ერთ პრინციპად გენდერული თანასწორობაა მითითებული, რომელიც განიმარტება, როგორც დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობა.<sup>38</sup> გენდერული თანასწორობის კუთხით საინტერესოა, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030),<sup>39</sup> ევროკავშირის მე-9 პრიორიტეტის<sup>40</sup> ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული სახელმწიფოს ახალი კონცეფცია,

<sup>38</sup> დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <https://mrdi.gov.ge/uploads/publications/5e467a975a3be.pdf>

<sup>39</sup> სტრატეგიის მიზანია საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სისტემური გარანტიების შემდგომი განმტკიცება. წინამდებარე დოკუმენტი ასახავს საქართველოს ეროვნულ საჭიროებებსა და არსებულ გამოწვევებს ადამიანის უფლებათა კუთხით. დამტკიცებულია 2023 წლის 23 მარტს, დოკუმენტი ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0>

<sup>40</sup> 2022 წელს საქართველოს მიეცა შესაძლებლობა განაცხადი შეეტანა ევროკავშირის წევრობის მისაღებად. პასუხად, ევროპული საბჭოს გადანყვეტილებით საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა და მიეცა შესაბამისი მითითებები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც შესაძლებელია საქართველომ მიიღოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. ევროკომისიის მიერ მიღებულ გადანყვეტილება მოიცავს მითითებებს (<https://bit.ly/3PjvwWd>), რომელიც განზოგადებულია 12 ძირითად პრიორიტეტად. წარმოდგენილ მითითებებში ერთ-ერთი საკითხი გენდერულ თანასწორობას შეეხება. კერძოდ, ევროკომისია მოუწოდებს საქართველოს “განსაკუთრებით გაზარდოს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით”. ამ მიმართულებით ევროკომისია ხაზს უსვამს, რომ საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან დაცვას, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს დამამძიმებელ გარემოებებს იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მოიცავს სიძულვილის ნიშნით ჩადენილ დანაშაულს. მთლიანობაში, დისკრიმინაციისა და გენდერული თანასწორობის შესახებ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა, გარკვეული საკითხები კვლავ გამოწვევად რჩება. კერძოდ: ევროკომისიის შემოთავაზებას იწვევს გენდერული ძალადობის მასშტაბები, მათ შორის ოჯახური ძალადობა და ფემიციდის ფაქტები. ამასთან მითითებებში განსაზღვრულია, რომ საქართველოში ქალები კვლავ აწყდებიან უთანასწორობას შრომის ბაზარზე. გენდერული ანაზღაურების სხვაობა შენარჩუნებულია იმით, რომ ქალები საერთო ჯამში 36.2%-ით ნაკლებს გამოიმუშავენ, ვიდრე კაცები 2019 წელს. ევროკომისიას მიუთითებს სტამბულის კონვენციის რატიფიცირების შემდგომ ქვეყანაში შექმნილი მართსაჯულების ხელმისაწვდომობისა და სოციალური დაცვის სერვისებზე და განსაზღვრვას, რომ აუკლებელია შემდგომი ჩართულობა, მათ შორის საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა. ზოგადი ინფორმაციის ჭრილში განიხილავს, რომ არჩეული პარლამენტარების 19,3% ქალია. ამასთან კომისია განსაზღვრავს, რომ ქვეყანამ მეტი უნდა გააკეთოს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსის ან ქვირ (LGBTIQ) პირების უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით 2021 წლის ივლისის მოვლენების გათვალისწინებით.

რომელიც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით გარანტირებულ არსებითი თანასწორობის პრინციპს და მიზნად ისახავს ამ პრინციპის საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო პოლიტიკის, პრაქტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დანერგვას.<sup>41</sup> აგრეთვე, მიმდინარე წლის 23 მარტს დამტკიცებული ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია, რომლის მიზანიც საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხედვის ჩამოყალიბება და ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრაა. კონცეფცია ღონისძიებების მაკრო და მიკრო დონეზე განხორციელების საჭიროებას აღგენს და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებით თანასწორობის განმტკიცებას ემსახურება, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას და ეკონომიკური დოვლათის გაზრდას მოიცავს.<sup>42</sup>

სტრატეგიისა და კონცეფციის დოკუმენტებით, გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების დაცვისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებმა ბოლო წლების განმავლობაში დადებითი განვითარება ჰპოვა საკანონმდებლო ბაზის განმტკიცებით, რეაგირების მექანიზმების გაძლიერებითა და დაცვისა და რეაბილიტაციის სერვისების განვითარებით. თუმცა, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელშესახები ცვლილებების განსახორციელებლად და კონსტიტუციით გარანტირებული არსებითი თანასწორობის მისაღწევად, უნდა მოხდეს ეფექტიანი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, ასევე გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერება. გარდა ამისა, სახელმწიფო დეკლარირებულად აცხადებს, რომ ხელი შეეწყობა ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას და მათ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.<sup>43</sup>

მიზნების მისაღწევად, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა<sup>44</sup> სამოქმედო გეგმაზე, რომელშიც დეტალურად იქნება წარმოდგენილი გენდერული თანასწორობის მიღწევის და ეფექტიანი აღსრულების მექანიზმების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და დაფინანსების წყაროები.

<sup>41</sup> საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, დამტკიცებულია 2022 წლის 22 დეკემბერს.

<sup>42</sup> ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, დამტკიცებულია 2023 წლის 23 მარტს.

<sup>43</sup> იქვე

<sup>44</sup> მიმდინარე წლის მარტი-თებერვლის პერიოდში ე.წ. „რუსული კანონის“ ინიცირებამ შეაფერხა მუშაობა და პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეა.

## 1.2.საერთაშორისო სტანდარტები

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის არაერთი ჩარჩო/დოკუმენტი შეიქმნა - მთავარი მხარდამჭერი ინსტრუმენტები, რომლებიც ადგენენ საერთაშორისო სტანდარტებს. მათ შორისაა, გაეროს, ევროსაბჭოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები.

მაგალითად: გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (ე.წ სტამბოლის კონვენცია), საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, ასევე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ კონვენცია (No100), კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ (No111), ოჯახური მოვალეობების მქონე მუშაკთა შესახებ კონვენცია (No156), დედობის დაცვის შესახებ კონვენცია (No183) და დეკლარაცია შრომის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ.

**გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფი რამდენიმე ძირითადი სტანდარტი:**

**გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან<sup>45</sup>)**

საერთაშორისო პაქტით<sup>46</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ<sup>47</sup> ხელმომწერი სახელმწიფოები და, მათ შორის, საქართველო, კისრულობენ ვალდებულებას, გაეროს პრინციპების შესაბამისად, უზრუნველყონ ადამიანთა მოდგმის ყველა წევრის თანდაყოლილი ღირსების, განუყოფელი და თანასწორი უფლებების აღიარება მსოფლიოში, რაც არის თავისუფლების, სამართლიანობის და მშვიდობის საფუძველი. კერძოდ, თანასწორობის საფუძველზე, ისარგებლონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით. პაქტის მე-3

<sup>45</sup> საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>

<sup>46</sup> გაერო, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966. ორიგინალი ვერსია ხელმისაწვდომია: <http://www.cirp.org/library/ethics/UN-covenant/>

<sup>47</sup> საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და შესაერთებლად გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A(XXI) რეზოლუციით. ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან.

მუხლის მიხედვით, მისი მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, რომ კაცებმა და ქალებმა თანაბრად ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებით.

### **გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (საქართველო 1994 წელს შეუერთდა)**

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) ემსახურება გენდერული თანასწორობის მიღწევას, მათ შორის, პოლიტიკაში,<sup>48</sup> ასევე, ქალთა და გოგონათა მიმართ არსებული ძალადობის აღმოფხვრას.<sup>49</sup>

კონვენციაზე შეერთებით საქართველომ აღიარა განსაზღვრული ვალდებულებები.<sup>50</sup> კერძოდ: კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმას და თანხმდებიან, ყველა საჭირო საშუალებით, განუხრელად გაატარონ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა. ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებას, რომ კაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს შეიტანენ თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში. ამასთან, კანონითა და სხვა სათანადო საშუალებებით, პრაქტიკულად შეასრულებენ ამ პრინციპს.<sup>51</sup> აგრეთვე, იღებენ პასუხისმგებლობას, გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, კომიტეტში განსახილველად პერიოდულად წარუდგინონ მოხსენება კონვენციის დებულებათა შესასრულებლად მიღებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე.<sup>52</sup>

<sup>48</sup> გაერო, CEDAW-ის ძირითადი რეკომენდაცია 2, 1997. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm>;

CEDAW-ის ძირითადი რეკომენდაცია 25, 1997. ხელმისაწვდომია:

[http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20\(English\).pdf](http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20(English).pdf)

<sup>49</sup> გაერო, ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW), 1979. ორიგინალი ვერსია ხელმისაწვდომია:

<http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/text/econvention.htm>

<sup>50</sup> გაერო, ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW), რატიფიცირებულია 1994 წელს. ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>

<sup>51</sup> იქვე, კონვენციის მე-2 მუხლი.

<sup>52</sup> კონვენციის მე-18 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, გაეროს გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გატარდა კონვენციის დებულებათა შესასრულებლად, ასევე, მიღწეული პროგრესის შესახებ: 1. დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში; 2. ამის შემდეგ, სულ ცოტა, ყოველი ოთხი წლის მერე და შემდგომში, როცა ამას კომიტეტი მოითხოვს.

2014 წელს საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების/საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეფასების თარგლებში, კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს, მიიღოს საგანგებო ზომები არსებითი თანასწორობის დასაჩქარებლად, მათ შორის, სავალდებულო გენდერული კვოტა. აგრეთვე, შეისწავლოს და დაამუშაოს ამ ზომების ზემოქმედების შედეგი და მონაცემები, გენდერული სტატისტიკის ჩათვლით.<sup>53</sup>

### პეკინის სამოქმედო პლატფორმა (BPfA)

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა 1995 წელს ქალთა საკითხებზე გამართულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული მთავარი დოკუმენტია, რომელიც გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს ეხება. დოკუმენტში დადგენილია მთავრობების ვალდებულება, ხელი შეუწყონ ქალებისა და გოგონების უფლებათა განხორციელებასა და დაცვას.<sup>54</sup> პეკინის დეკლარაცია და მისი სამოქმედო პლატფორმა გენდერული თანასწორობის მიღწევითვის ცვლილებებს განსაზღვრავს და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

2000 წელს, პროგრესის გლობალური ხუთწლიანი მიმოხილვის დროს, წევრმა სახელმწიფოებმა, მათ შორის, საქართველომ იკისრეს ვალდებულება, რომ პლატფორმით განსაზღვრულ ღონისძიებათა შესრულება დააჩქარონ ხუთ წელიწადში ერთხელ მიმოხილვის პროცესით.

პეკინის დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით, წევრ სახელმწიფოებს და, მათ შორის, საქართველოს, პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის თარგლებში შემდეგი ამოცანების შესრულება მოეთხოვება: მიიღოს ზომები ქალთა თანაბარი ჩართულობისთვის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; გაზარდოს ქალთა

---

<sup>53</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ (CEDAW/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, მე-17 პუნქტი): „ქალთა და მამაკაცთა არსებითი თანასწორობის დასაჩქარებლად, მიიღოს დროებითი სპეციალური ზომები, მათ შორის, საკანონმდებლო კვოტები. კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და კომიტეტის 25-ე ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, შეიმუშაოს დროებით სპეციალური ზომები მარგინალიზებულ და სოციალურად დაუცველ ქალთა ჯგუფებისათვის. შეისწავლოს მსგავსი ზომების ზემოქმედება და გაასაჯაროოს ამ კვლევის მიგნებები, შესაბამისი გენდერული სტატისტიკის ჩათვლით.“

<sup>54</sup> გაერო, მსოფლიო მეოთხე კონფერენცია, 1995. ხელმისაწვდომია: <http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/plat1.htm>

შესაძლებლობები/უნარები, რათა მონაწილეობა მიიღონ გადანაცვტილების მიმღებ პოზიციებზე.<sup>55</sup>

## გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუცია - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 ადასტურებს სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჰუმანიტარული რეაგირების დაგეგმვაში, სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტის შემდგომ სამშვიდობო საქმიანობასა და მმართველობაში ქალთა მონაწილეობისა და გენდერული საკითხების ჩართვის მნიშვნელობას.<sup>56</sup> შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს, რეზოლუცია მოუწოდებს:

*„უზრუნველყონ ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და მოგვარების ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუტებსა თუ მექანიზმებში, გადანაცვტილების მიმღებ ყველა დონეზე.“*

### ევროპის საბჭო

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი 2003 წლის რეკომენდაციით წევრ სახელმწიფოებს და, მათ შორის, საქართველოს მიმართავს, გამოიყენონ საჭირო მექანიზმები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის ქალებსა და კაცებს შორის, რათა აღმოიფხვრას გენდერული უთანასწორობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს წევრ სახელმწიფოებში.

ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, 40% ის რეკომენდებული მინიმუმია, რომლის ქვემოთაც არცერთი სქესის წარმომადგენელი არ უნდა იყოს გადანაცვტილების მიმღებ ორგანოებში.<sup>57</sup>

### გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები 2030 (SDGs)

გენდერული თანასწორობაზე ყურადღებას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიც ამახვილებს. 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა მიაღწიონ ისეთ მნიშვნელოვან ამოცანებს, როგორცაა, მაგ: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა,

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> გაერო, რეზოლუცია 1325, 2000. ხელმისაწვდომია: <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2017/1325.pdf?la=ka&vs=5752>

<sup>57</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია (2003)3, 2003. ხელმისაწვდომია: [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e0848](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e0848)

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საჯარო სფეროებში ქალთა თანაბარი და ეფექტიანი მონაწილეობისა და მათთვის დანინაურების, ლიდერობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ქალთა თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა ეკონომიკურ რესურსებთან, სოციალური დაცვის სისტემასა თუ შესაბამის ინფრასტრუქტურასთან. საქართველომ მიზნების ნაციონალიზაცია მოახდინა, რა დროსაც იგივე პრიორიტეტები განსაზღვრა.<sup>58</sup>

აღნიშნული საერთაშორისო ინსტრუმენტების საფუძველზე, ევროპის გენდერული თანასწორობის ინსტიტუტმა შემუშავა გენდერული ბიუჯეტირების (როგორც გენდერული მენისტრიმინგის ერთ-ერთი მექანიზმის) ძირეული პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ გენდერული ბიუჯეტირების პროცესუალურ, შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ გენდერული ბიუჯეტირების მოდელი უნდა მოიცავდეს:

**გენდერული ბიუჯეტირების არსი:** ევროკავშირის ინსტიტუციური განმარტებით, გენდერული ბიუჯეტირება არის „გენდერის საფუძველზე შემუშავებული, ბიუჯეტის შეფასების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს გენდერული პერსპექტივის ასახვას ბიუჯეტის ფორმირების მთლიან ციკლში და მოიცავს როგორც დანახარჯების, ისე შემოსავლების დაგეგმვას ისეთი წესით, რაც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას.“ აღნიშნული ტერმინიდან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი გამოყოფს გენდერული ბიუჯეტირებისთვის აუცილებელ რამდენიმე ელემენტს:

- გენდერული ბიუჯეტირების სრულყოფილი დაფარვა (რაც მოიცავს როგორც დანახარჯების, ისე შემოსავლების სტრუქტურირებას), მათ შორის,

---

<sup>58</sup> მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციისა და კოორდინაციის პროცესი, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის მიხედვით, 2015 წელს დაიწყო. ამ პროცესის ხელმძღვანელობა/კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა. კონსულტაციების შედეგად, ქვეყნის გამომწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზანი და 93 ამოცანა ეროვნულ პრიორიტეტად დადგინდა. მდგრადი განვითარების მიზნებზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მოამზადა ეროვნული დოკუმენტი, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაინერა დროში და დადგინდა 201 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის). მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზებული ამოცანები ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://georgia.un.org/ka/sdgs>

პასუხისმგებლიანი შესყიდვის პოლიტიკას, ქალი მიმწოდებლების ხელშეწყობას, და ა.შ. შესაბამისად, გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს არა მხოლოდ გენდერულად მგრძობიარე მიზნის განსაზღვრას (მაგ. თანხების მიმართვა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ), არამედ ასევე ბიუჯეტის ხარჯვის პროცესში, მუნიციპალიტეტის მსყიდველობაუნარიანობის ინსტრუმენტალიზაციას მუნიციპალიტეტში სერვისის მიმწოდებელი ქალი და კაცი მენარმეებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაში და ქალი მენარმეების ეკონომიკურ გაძლიერებაში.

- გენდერული ბიუჯეტირების დაფუძნება გენდერულ მონაცემებზე/სტატისტიკაზე, რომელიც მიჩნეულია გენდერული ბიუჯეტირების ერთ-ერთ ძირეულ კომპონენტად. გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი განსაზღვრავს სხვადასხვა ინდიკატორებს, რომლების გასაზომად აუცილებელია მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია, რათა მათი ასახვა პირაპირ მოხდეს სიტუაციურ ანალიზში, რომელიც თავის მხრივ, საფუძვლად უნდა დაედოს გენდერული ბიუჯეტირების ამოცანების ჩამოყალიბებას.
- გენდერულ ბიუჯეტირებაში ქალებისა და კაცების თანაბრად ჩართვა, რათა არა მხოლოდ გენდერული ბიუჯეტირების ამოცანები, არამედ პროცესიც იყოს ინკლუზიური და შექმნას მოსახლეობაში საკუთრებისა და თანამონაწილეობის განცდა. გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის თანახმად, ინკლუზიური პროცესი ასევე გულისხმობს აუცილებლობას, პროცესში ჩართოს სხვადასხვა ჯგუფები, მათ შორის, შშმ, დევნილი, სხვადასხვა ასაკის, ლესბოსელი, ტრანსგენდერი, ბისექსუალი და სხვა მარგინალიზებული ან მონყვლადი ჯგუფები.

**გენდერული ბიუჯეტირების ამოცანები:** გენდერული ბიუჯეტირების კონცეფციის ძირეული კომპონენტია გენდერული ბიუჯეტირების ამოცანების დასახვა. კერძოდ, გენდერული ბიუჯეტირების პროცესის ერთ-ერთი პირველი საფეხურია საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკური-საკანონმდებლო ჩარჩოს საფუძველზე განსაზღვრული ამოცანების პრიორიტეტიზაცია და მათი ასახვა გენდერული ბიუჯეტირების დაგეგმვის პირველივე საფეხურზე. არსებული გამოცდილებიდან და საქართველოს კონტექსტიდან გამომდინარე, გენდერული ბიუჯეტირება შეიძლება ემსახურობდეს სხვადასხვა ამოცანას, მათ შორის:

- სიღარიბის ფემინიზაციის შემცირება - რაც მოიცავს დასაქმების, განათლების, სატრანსპორტო და უსახლკარობის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამებს,



განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მსგავს ტრადიციულ საზოგადოებაში კერძო საკუთრება მემკვიდრეობით ტრადიციულად გადაეცემა კაცებს, ხოლო საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, ქალები ნაკლებად მიმართავენ გასაჩივრების მექანიზმებს.

- ქალების ჩართულობა ეკონომიკაში, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში - რაც მოიცავს ერთი მხრივ, ფინანსურად, ფიზიკურად, გეოგრაფიულად ხელმისაწვდომ, უსაფრთხო და რეგულარულ სატრანსპორტო სისტემას (მათ შორის იმ პირობებში, რომ ნაკლები ქალი ფლობს ავტოსატრანსპორტო საშუალებას), და მეორე მხრივ, არსებულ ტრადიციულ კონტექსტში (სადაც ქალი მიიჩნევა ძირითად მომვლელ პირად), მოხუცების, შშმ პირებისა და არასრულწლოვანებისთვის განკუთვნილ მზრუნველობით სერვისებს (ბაღები, დღის ცენტრები, შინმცხოვლის პროგრამები და სხვა).
- გენდერული ძალადობისგან დაცვის სისტემების ხელმისაწვდომობა - რაც მოიცავს დაცული ე.წ. „მესამე სივრცის“ ხელმისაწვდომობას ქალებისთვის, სადაც მათ შესაძლოა მიიღონ ინფორმაცია და მხარდაჭერა ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის (მაგ. გენდერულად მგრძობიარე ინტერასტრუქტურის მონაცობა, საზოგადოებრივი ცენტრების, ბიბლიოთეკების, დაცული პარკების, სოციალური კაფეებისა და სხვა სივრცეების არსებობა).

**გენდერული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიური ჩარჩო:** ძირითადად ეფუძნება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც მოიცავს ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ქალების პირდაპირ მონაწილეობას ბიუჯეტირების მთლიან ციკლში (რაც მოიცავს პრიორიტეტების დადგენას, დაგეგმვას, პროგრამების შემუშავებაში ჩართულობას, ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას). ამავდროულად, განსაზღვრულია, რომ გენდერული ბიუჯეტირება უნდა განხორციელდეს მაკრო, მეზო და მიკრო დონეებზე (რაც გულისხმობს გენდერული ბიუჯეტირების დამკვიდრებას ეროვნულ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, და მათ შორის პირდაპირი სინერჯის დამყარებას).

## 2. გენდერული ნიშნით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციო - ეკონომიკური საჭიროებები და გამოწვევები

### 2.1. გენდერული სტატისტიკა და საჭიროებათა კვლევა მუნიციპალურ დონეზე

მუნიციპალიტეტებს (მერიასა და საკრებულოს), თვითმმართველობის კოდექსითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, აქვთ უფლებამოსილება შეაგროვონ სტატისტიკური მონაცემები, დაამუშავონ ინფორმაცია ადგილობრივი პოლიტიკის, პროგრამებისა და ბიუჯეტის დასაგეგმად. ამავდროულად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა აჩვენებს, რომ ე.წ. „გენდერული სტატისტიკა“, რომელიც მოიცავს რაოდენობრივი ინფორმაციის სტრუქტურირებას გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორების საფუძველზე, იძლევა შესაძლებლობას, ადგილობრივი პროგრამები და ბიუჯეტი უფრო ზუსტად იყოს მორგებული ადგილობრივ საჭიროებებზე, უფრო ეფექტიანი და ეფექტური იყოს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამავდროულად, ევროკავშირის ერთ-ერთი საკვანძო კონცეფცია - „მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვა“, აუცილებელი კომპონენტია განსაკუთრებით ისეთ პრობლემურ საკითხებში, როგორცაა გენდერული თანასწორობა და დაცული გარემოს შექმნა ქალებისა და კაცებისთვის.

თუმცა, თითქმის ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტები არ აწარმოებენ ადგილობრივი საჭიროებების კვლევას, მით უფრო, არ ხდება გენდერული სტატისტიკის წარმოება. მუნიციპალიტეტები, გადანაცვტილების მიღების პროცესში, ძირითადად ეყრდნობიან:

- მუნიციპალიტეტში თვითდინებით, მოქალაქეების მხრიდან წინა წლებში წარდგენილი განცხადებების მიმოხილვას (ძირითადი მოთხოვნები, მარტივი თემატური დაჯამება);
- ადგილობრივი მაჟორიტარი დეპუტატების/თანამდებობის პირების მხრიდან მოსახლეობასთან ჩატარებულ შეხვედრებს (თუმცა, არ არის განსაზღვრული მსგავსი შეხვედრების სტრუქტურირებული მეთოდოლოგია, არ არის განსაზღვრული მონაწილეთა შეხვედრაზე მოწვევის/ინფორმირების ან მათი შერჩევის რაიმე სისტემური პრინციპი/მეთოდოლოგია);
- სხვა, ცენტრალური უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია (საქსტატიდან, შსს-დან, სოციალური დაცვის სამსახურებიდან, და ა.შ.).

გამოკითხული მუნიციპალიტეტების უმრავლეს შემთხვევაში, გენდერული სტატისტიკა არ არსებობს, მხოლოდ გენდერული ნიშნით ინფორმაციის ჩაშლა (ქალი/კაცი), რაც ხელს უშლის საჭიროებებზე მორგებული ადგილობრივი პოლიტიკის, პროგრამებისა და ბიუჯეტის წარმოებას (განსაკუთრებით, ინტერსექციული მონაცვლადობის შემთხვევებში).

*„საჭიროება კვლევის გარეშე გვაქვს - კრება, შეხვედრები, დეპუტატია და აქედან იგებს - უშუალოდ შეხება ადამიანებთან, პრობლემების მოსმენა, მრავალფეროვანი და ბევრია. და ამის მიხედვით ძირითადად კეთდება აქცენტი“ - მონაწილე.*

## 2.2. გენდერული ბიუჯეტირება მუნიციპალურ დონეზე

2022 წლის დეკემბერში, ნორმატიული აქტების შესახებ კანონში ასახული ცვლილებებით, ადგილობრივ თვითმმართველობებში სავალდებულო ხასიათი მიიღო „გენდერული გავლენის შეფასებამ“. ფოკუს ჯგუფების ჩატარების დროისთვის, თითქმის ორი წელი გავიდა აღნიშნული ცვლილებების განხორციელებიდან და მუნიციპალიტეტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ემსჯელათ არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე გენდერული ბიუჯეტირების ეფექტური დანერგვისთვის.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს მკაფიო ინფორმაცია გენდერული გავლენის შეფასების არსის შესახებ და მის კავშირებზე გენდერულ ბიუჯეტირებასთან - მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში გენდერული ბიუჯეტი ცალკე მუხლად არის გამოყოფილი (და საშუალოდ 5 000-30 000 ლარამდე თანხას შეადგენს), აღნიშნული ბიუჯეტის ათვისება ხდება მოსახლეობის მყისიერ საჭიროებებზე - ფრაგმენტული, ერთჯერადი სოციალური დახმარების სახით. გენდერული ბიუჯეტის მუხლიდან გახარჯული თანხები არსებითად არ განსხვავდება სხვა მუხლებიდან გახარჯული თანხების მიზნობრიობისგან და არ გააჩნიათ გენდერული განზომილება. რამდენიმე შემთხვევაში, რესპოდენტებმა ახსენეს, რომ მათ ვერ გახარჯეს გენდერული ბიუჯეტი და მისი დაბრუნება დასჭირდათ. სხვა შემთხვევებში, გენდერული ბიუჯეტიდან გახარჯული თანხები ძირითადად ხმარდება:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფას (რაც საკმაოდ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს დაბალი მიმართვიანობიდან გამომდინარე);

- ერთჯერადი ფულადი დახმარება სხვადასხვა სოციალური საჭიროებებისათვის;
- მკურნალობა, ჯანდაცვა.

ამავდროულად, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ნიშანი, რაც ამ შემთხვევაში განასხვავებს საბიუჯეტო ხარჯვას „გენდერული ბიუჯეტის“ მუხლიდან არის ის, რომ მისი ბენეფიციარები მხოლოდ ქალები არიან და „გენდერული ბიუჯეტიდან“ გახარჯული თანხები არ არის მიმართული რაიმე სპეციფიური გენდერული, სისტემური პრობლემის გადასაჭრელად.

*„კი განვსაზღვრეთ გენდერული ბიუჯეტი, მაგრამ ახლა არ ვიცით, რაში გავხარჯოთ“ - მონაწილე.*

*(გენდერული ბიუჯეტი) „პირველკლასელებისთვის სამედიცინო კვლევები - მხედველობის პრობლემა, სქოლიოზი - კვლევა ჩატარდა და ექიმის კონსულტაცია, სარეაბილიტაციო მარტოხელა მშობლებს - დედებს - სასურსათე კალათები, ხანდაზმულებს...“ - მონაწილე.*

### 2.3. გენდერული საბჭოები და ქალთა ოთახები მუნიციპალიტეტებში

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს საკრებულოების ვალდებულებას, მიიღონ გენდერული საბჭოების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, უმრავლეს შემთხვევაში, აღნიშნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ან არ არის მიღებული, ან ფორმალურ ხასიათს ატარებს და თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის სტრატეგია/სამოქმედო გეგმა იმეორებს იმავე ან მსგავს შინაარსს, მიუხედავად ინდივიდუალური მუნიციპალიტეტის სპეციფიური საჭიროებებისა. რიგ შემთხვევებში, ადგილობრივი გენდერული საბჭოები სრულად ან ნაწილობრივ ვერ ახორციელებენ მიღებულ სტრატეგიას/სამოქმედო გეგმას, რის მიზეზადაც სახელდება მრავალი ფაქტორი:

- ფინანსური რესურსის ნაკლებობა;
- გენდერული ძალადობის მიმართულებით ცოდნის ნაკლებობა და გადამზადების საჭიროება;
- გადამზადების საჭიროება კვლევის მეთოდოლოგიაში, საჭიროებათა კვლევის განსახორციელებლად;

- მწირი ადამიანური რესურსი (იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც გენდერული საბჭო დაკომპლექტებულია გამოცდილი თანამშრომლებით);
- ინფორმაციული წყვეტა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ გენდერულ საბჭოებს შორის (გამოკითხული მუნიციპალიტეტების უდიდეს ნაწილში, მუნიციპალიტეტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია ერთი წლის წინ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რითაც მათ დაევალოთ ოჯახში/გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა);
- უმრავლეს შემთხვევაში, არსებითი ინფორმაციული წყვეტაა სხვა მიმართულებებითაც - ადგილობრივ თვითმმართველობებს ცენტრალური ხელისუფლება არ უზიარებს სისტემურად ინფორმაციას არსებული კვლევების, სტატისტიკის, ახალი პროგრამების, სერვისების თუ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

ამავდროულად, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში არსებული ე.წ. „ქალთა ოთახიც“ განსხვავებული აქტივობით გამოირჩევა. რაც შემთხვევებში, ქალთა ოთახები გამოიყენება შედარებით ხშირი შეხვედრებისთვის, ინფორმაციის გაცვლისა თუ ტრენინგებისთვის, თუმცა, უმრავლეს შემთხვევებში, ქალთა ოთახები პასიურად ოპერირებენ და ღონისძიებები მხოლოდ პროაქტიული მიმართვის საფუძველზე ტარდება.

*„წლების განმავლობაში ორჯერ თუ ჩატარდა ღონისძიება - ისიც თუ დაევალა. ახლა გავიგეთ წელს რომ 15'000 ლარია - არც გაუხარჯავთ, დააბრუნეს (გენდერული ბიუჯეტი)“ - მონაწილე.*

#### 2.4. ოჯახში, გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება მუნიციპალიტეტის მიერ და გენდერული გავლენის შეფასება

2023 წლის ივნისში (ფოკუს ჯგუფების ჩატარებიდან დაახლოებით ნახევარი წლით ადრე), ცვლილება შევიდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში, რითაც განისაზღვრა მხარდაჭერის მიმწოდებლის/პროგრამის განმახორციელებლის, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულება, დამოუკიდებლად განსაზღვრონ ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლის სტატუსი იმ

შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი არ თანამშრომლობს სამართალმდაცავ ორგანოებსა და სასამართლოსთან. სტატუსს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსხვერპლისთვის, რადგანაც მის საფუძველზე მსხვერპლს ენიჭება წვდომა სხვადასხვა მხარდამჭერ, პრევენციულ და დამცავ მექანიზმებზე ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით და უმრავლესობამ აღნიშნა, რომ საჭიროებს ინსტრუქციას, ტრენინგს ან სხვაგვარ მხარდაჭერას, რათა შეიმუშავოს მსხვერპლის სტატუსის დადგენის კრიტერიუმები, პროცედურები და საერთო მეთოდოლოგია.

ამავდროულად, მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია კიდევ ერთ საკანონმდებლო სიახლეზე - გენდერული ზეგავლენის შეფასებაზე და არც ამ შემთხვევაში აქვთ ინფორმაცია მის არსსა და მეთოდოლოგიაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობა წარმოადგენს მცირე ზომის ქალაქებს/დასახლებებს, სადაც ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება, მსხვერპლი ძირითადად არიდებს თავს ინფორმაციის გავრცელებისაგან და ძალადობის უმრავლესი შემთხვევა უხილავი ხდება. აღნიშნული კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი მეთოდოლოგიის შემუშავება მუნიციპალიტეტების მიერ აღნიშნული ახალი ვალდებულებების სწორი შესრულებისათვის.

*„როცა სახელმწიფო ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს - უნდა გადასცეს რესურსი და ცოდნაც. მიუხედავად იმისა რომ გამოცდილება ბევრი მაქვს შეიძლება ამის ცოდნა არ მქონდეს რაც ამას სჭირდება - ვერ ვავნერ კრიტერიუმებს. ამ 7 თვეში რაზე იზრუნა სახელმწიფომ? რა გააკეთა რომ ეს შემეძლოს. ესე პირდაპირ ყოველგვარი მომზადების გარეშე - ერთი ფუნქციის გადაცემა მეორეზე - არ არის ნორმალური. ჩვენ ყველაზე მეტი დახმარება დაგვჭირდება ამ უნარების გამომუშავებაში - რომ ვიცოდე ამ საკითხს რა სჭირდება. კარგი, ჩაატარე კვლევა - იმ კვლევასაც ხომ სჭირდება ცოდნა? რო გამოვიკითხო იმასაც ხო უნდა უნარ - ჩვევა - მთავარი კითხვა არაა - რა? სად? როდის? მთავარია როგორ? მე შეეჭვება რომ რომელიმე მუნიციპალიტეტში მზად იყოს გუნდი - კვლევა ჩაატაროს, დადოს დასკვნა, ეს კრიტერიუმი შეესაბამება მოთხოვნილებებს თუ არა.“ - მონაწილე.*

## 2.5. ძალადობა მართლმსაჯულების სისტემის წინაშე პატარა ქალაქებში

თითქმის ყველა ფოკუს ჯგუფში რესპოდენტებმა მიუთითეს სამართალდამცავი/მართლმსაჯულების სისტემის არაეფექტურ რეაგირებაზე ძალადობის შემთხვევებზე, და თითქმის ყველა ჯგუფში რესპოდენტებმა გაიხსენეს მაგალითები, როდესაც პოლიციის მხრიდან იკვეთებოდა საზიანო დამოკიდებულება (ჩაურევლობა, დამცინავი და ღირსების შემლახავი დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ, ადგილზე მისვლისას მეორეული ვიქტიმიზაცია, დაკითხვისა და სხვა სამართალდამცავი პროცედურების დროს მოძალადისთვის უპირატესობის მინიჭება ან/და ირიბი ზეწოლა მსხვერპლზე ჩვენების შესაცვლელად, და ა.შ.). ამავდროულად, რესპოდენტებმა ახსენეს რიგ შემთხვევებში საზიანო დამოკიდებულება სასამართლოს მხრიდანაც (მაგალითად, ერთ-ერთმა რესპოდენტმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ძალადობის ფიზიკური კვალის მიუხედავად, მოსამართლემ მოუწოდა ოჯახს „მორიგებისკენ“ და დაკავების დღესვე, მოძალადე გაათავისუფლეს (რამაც პოტენციურად შეიძლება საფრთხე შეუქმნას მსხვერპლს). რესპოდენტების დიდმა ნაწილმა ახსენა, რომ მსგავსი მაგალითების გამო, მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში თავს იკავებს და არ აცხადებს ძალადობის შესახებ, რადგანაც სამართალდამცავი/მართლმსაჯულების სისტემა არ იცავს მათ სათანადოდ, ხოლო მსგავსი ფაქტის მათთვის გაუღერების (და მოძალადის მობრუნების შემდეგ) ისინი უფრო მომეტებული საფრთხის წინაშე დგებიან.

*„შებმა დაუწყო პოლიციელმა შენი ქმარი იძახის ყოველ მეორესთან გულაობასო. არც ვისმენს პოლიცია. არც შენს ჩვენებას იღებს, არასერიოზულად იღებს, მშხვერპლი გაამტყუნა. პოლიცია - შენო ბრალი იქნებოდაო, რა ქენი ასეთიო. მოკლე კაბა გეცვაო.“  
- მონაწილე.*

*„პოლიციაში არ აცხადებენ - პოლიცია არ რეაგირებს, მერე იგივე კაცთან უნდა მობრუნდე (ოჯახი არ მივიღებს) და უარესად დავსჯის - სასიკვდილო განაჩენი გამოგაქვს შენი თავისთვის.“ - მონაწილე.*

*„ზოგჯერ გამოავლენს და უფრო ძვირად უჯდება - გამოვა და უარესი იქნება“ - მონაწილე.*

## 2.6. საზოგადოებრივი დამოკიდებულებები ძალადობის მიმართ, ცნობიერება და ინფორმირება

---

სამართალდამცავ/მართლმსაჯულების სისტემასთან ერთად, არსებით დაბრკოლებას წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებები გენდერის, ქალისა და კაცის სოციალური როლის, პირადი ავტონომიის, ძალადობისა და სხვა დაკავშირებული საკითხების მიმართ.

თითქმის ყველა გამოკითხულ ჯგუფში, რესპოდენტებმა ახსენეს, რომ საზოგადოებაში დომინანტურია შემდეგი დამოკიდებულებები:

- „ოჯახის დაშლა სირცხვილია“;
- „ძალადობა ოჯახის პირადი საქმეა“;
- „კარგმა მეუღლემ უნდა მოითმინოს რათა არ გაიტანოს ოჯახის პირადი საქმე საჯაროდ“;
- „ბავშვისთვის უმჯობესია ოჯახში გაზრდა“, მაშინაც როდესაც ეს ნიშნავს მსხვერპლის მიმართ ძალადობის თმენას.
- „ხშირად ქალების ბრალიცაა, აეჭვიანებენ ქმრებს“,
- „მთვრალს არ გაერიდა“ და ა.შ.

უმრავლეს შემთხვევაში, მშობლები არ გამოხატავენ მზაობას, მიიღონ ძალადობის მსხვერპლი შვილი თუ ის ტოვებს მოძალადის სახლს. ამავდროულად, შვილებისთვის ალტერნატიული საცხოვრებლისა და ფინანსური დამოუკიდებლობის არარსებობა, ძალადობის თმენის ერთ-ერთი ძირეული გამომწვევი მიზეზია. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, არ ხდება ძალადობის ფორმების სათანადოდ ამოცნობაც - ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად ახდენს ძალადობის ნაკლებად ხილული ფორმების იდენტიფიცირებას (როგორცაა ძალადობის ეკონომიკური, ფსიქოლოგიური ფორმები).

*„27 წლის ახალგაზრდა - ყავს მკირენლოვანი - მეუღლეს ვერ ცილდება იმიტომ რომ ძმა და მამა - ორივესი ეშინია.“ - მონაწილე.*



## 2.7. მობილობა და მესამე სივრცის საჭიროება

ე.წ. „ქალთა ოთახების“ პასიურობის პარალელურად, ყველა გამოკითხულ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ქალები ასახელებენ ე.წ. „მესამე სივრცის“<sup>59</sup> არარსებობის მწვავე პრობლემას, რაც არსებითი დაბრკოლებაა ქალებისთვის როგორც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, ისე პროფესიულ-ეკონომიკური გაძლიერების კუთხით (ქალების უმრავლესობა ახსენებს, რომ უდიდეს დროს ატარებენ სახლსა თუ სამსახურში, ხოლო სოფლებში მუნიციპალური ტრანსპორტისა და საბავშვო/ბავა ბალების სიმწირის/არარსებობის პირობებში, მათი მობილობა კიდევ უფრო შეზღუდულია). აუცილებელია, ქალთა ოთახების ჩამოყალიბება არაფორმალურ სივრცეებში, სადაც უფრო მეტ ქალს ექნება ხელმისაწვდომობა უფრო ხშირ სოციალურ და საინფორმაციო ღონისძიებებზე, ისევე როგორც დაცულ, არაფორმალურ სივრცეზე, სადაც ძალადობის მიმართ მონწყვლად ქალებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სოციალური მხარდაჭერა და ინფორმაცია დაცვის შესაძლებლობებზე.

აღსანიშნავია, რომ მობილობა ერთ-ერთი არსებითი წინაპირობაა ქალების ფინანსური, სოციალური, ინფორმაციული გაძლიერებისთვის, რაც პრევენციულ როლს თამაშობს ძალადობისგან თავის დაცვის/დაღწევის მხრივ. იმ პირობებში, როდესაც სოფლებს შორის ტრანსპორტი არ არსებობს და/ან ქალები დამოკიდებული არიან კერძო ტრანსპორტზე (რომელიც გადაადგილდება არარეგულარული მარშრუტით და სიხშირით, ადგენს საფასურს თვითნებურად), ქალების შეზღუდული მობილობა ზრდის მათ მონწყვლადობას პოტენციური ძალადობის მიმართ.

*„ტრანსპორტი საღ როლის დამტოვებს არ ვიცი, 3-ზე თუ არ გავედი, ჩავრჩები“ - მონაწილე.*

<sup>59</sup> თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ე.წ. „მესამე სივრცეს“ უწოდებენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს, რომელიც ფინანსურად და გეოგრაფიულად ხელმისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფორმაციის გაცვლის, სოციალიზაციის და არაფორმალური სათემო ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის. მესამე სივრცე, როგორც წესი, არის ადგილი საცხოვრებლის, სასწავლებლის და სამსახურის მიღმა.

## 2.8. ფინანსური დამოუკიდებლობა, სწავლების ადგილობრივი შესაძლებლობები და ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობის შესაძლებლობები

გამოკითხული მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, ქალებს ახასიათებთ ძლიერი სოციალურ-ეკონომიკური მონყვლალობა, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორია, ძალადობრივი გარემოდან განრიდებისათვის. აღსანიშნავია, რომ ქალების უმრავლესობა ან საერთოდ არ არის დასაქმებული, ან საშუალოდ იღებს 300-400 ლარის ოდენობის ხელფასს შემდეგი წყაროებიდან:

- ე.წ. „სოციალური დასაქმება“ - სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის დასაქმება სხვადასხვა მუნიციპალურ სერვისებში - ძირითადად, დასუფთავების სამსახურში;
- საბავშვო ბაღის აღმზრდელები;
- სკოლის მასწავლებლები;
- ექთნები, ექიმები;
- მიკრო-ბიზნესი/თვითდასაქმება (სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთის შეკერვა, საკონდიტრო ნაწარმის სერვისი და სხვა).

ერთი მხრივ, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაციის ინტეგრირება ქალებისთვის საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვაში, რათა ინფორმაცია უფრო ეფექტურად გავრცელდეს სწორედ იმ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტია ქალების თავშეყრის რაოდენობა თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია სოციალურ-ეკონომიკური ბარიერების ბუნებაც. კერძოდ, რესპოდენტების უმრავლესობა ახსენებს რომ პროფესიული გადამზადების ნებისმიერი ადგილობრივი პროგრამა ძირითადად მიბმულია ადგილობრივი დიდი ბომის საწარმოზე (მაგ. ჯორჯიან მანგანეზი ჭიათურაში, ქვანახშირის წარმოება ტყიბულში, სასტუმროები კახეთში და სხვა). იშვიათ შემთხვევებში, ადგილობრივი პროფესიული კოლეჯები და/ან საერთაშორისო დონორებისგან დაფინანსებული პროგრამები ქმნის შესაძლებლობებს ალტერნატიულ პროფესიულ განათლებაზე. თუმცა, ძირითად შემთხვევებში, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები მწირია შემდეგ მიზეზთა გამო:

- პროფესიული პროგრამები არ არის მორგებული ქალების სპეციფიურ სოციალურ-კულტურულ კონტექსტს და მათ არსებულ უნარ-ჩვევებსა თუ საბაზრო მოთხოვნებზე;
- ქალების გარკვეული ნაწილი ვერ ახერხებს ინფორმაციის მიღებას პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ ან/და ვერ ესწრება მათ მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობის/სიმწირის გამო;

- გადამზადების შემთხვევაშიც, აუცილებელია ე.წ. „რბილი“ უნარ-ჩვევების გამომუშავება (გაყიდვები, მართვა, და ა.შ.), რათა ქალებმა შეძლონ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ თითქმის არსად არ არის საკმარისი ინფორმაცია ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობის შესაძლებლობებზე (ადგილობრივი მოსახლეობისთვის უცნობია, თუ სად შეიძლება ონლაინ უფასო განათლების მიღება თუ საკუთარი უნარ-ჩვევების წარდგენა პოტენციური დამსაქმებლისთვის).

*„რეგიონში არ ეგულებათ ადგილი სადაც მივა მსხვერპლი ქალი - ოჯახებში არ იღებენ, დამოუკიდებელი ფინანსები არ აქვთ - მეგობრულად შეგვიძლია მხარში ამოვდუეგთ მაგრამ რაღაც ჭირდებათ საიმედო. მაგალითად, რაიონში რომ არსებობდეს რამე ისეთი სადაც ძალადობის მსხვერპლი ქალი მოვა და ექნება იმედი - სამი შვილით სად წავიდეს? ელემენტარული საარსებო საშუალება არ აქვს. არ აქვს იმედი...“ - მონაწილე.*

### 3. მუნიციპალიტეტების 2018-2022 წლების გენდერული თანასწორობის საბჭოები, სამოქმედო გეგმები და გენდერული ბიუჯეტირება

#### 3.1. გენდერული თანასწორობის საბჭოები და მათი საქმიანობა (სხდომები)

---

კვლევის მომზადების დროს, პროექტით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოთან დაკავშირებით შემდეგი საკითხები იქნა შესწავლილი:

- მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების მიერ, 2018-2022 წლებში გამართული სხდომები, ოქმები და მიღებული გადაწყვეტილებები;
- გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმები 2018-2022 წლებში;
- 2018-2022 წლების განმავლობაში, მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ამსახველი ანგარიშები;<sup>60</sup>
- მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გენდერული საბჭოების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საქართველოში არსებულ მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოები 2018 წლიდან შეიქმნა. შესაბამისად, კვლევის დროს, საკვლევი მუნიციპალიტეტების ბაზაზე შესწავლილ იქნა ყველა იმ სხდომის ოქმი, რომელიც საქართველოში არსებულ 16 მუნიციპალიტეტში, 2018 წლიდან 2022 წლამდე (ინფორმაციის გამოთხოვის დღისთვის) ჩატარებული გენდერული თანასწორობის საბჭოების სხდომებს ასახავს და რომელიც მუნიციპალიტეტების მიერ იქნა მოწოდებული. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი მუნიციპალიტეტების ნაწილმა ინფორმაცია არ გასცა, საერთო სურათის და ტენდენციების დანახვა მაინც არის შესაძლებელი.

მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ოქმების მიხედვით ირკვევა, რომ: რიგი გამონაკლისების გარდა<sup>61</sup>, მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების ჩატარებას არ აქვს სისტემატური ხასიათი. საბჭოს სხდომების გამართვა მნიშვნელოვნად არის შემცირებული 2020-2021

---

<sup>60</sup> ინფორმაცია ჩატარებული სხდომის ოქმების, სამოქმედო გეგმების, გადაწყვეტილებების და ანგარიშების შესახებ, მოიცავს პერიოდს 2018 წლის 1 იანვრიდან, 2022 წლის 20 მაისამდე;

<sup>61</sup> ლაგოდების, საგარეჯოს და თელავის მუნიციპალიტეტები;

წლებში, რაც შესაძლოა კოვიდ პანდემიასთან იყოს დაკავშირებული. 2020-2021 წლებთან შედარებით, 2022 წლის პირველი ხუთი თვის მაგალითზე, მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების ჩატარების სტატისტიკა მზარდია. საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების სხდომის ოქმებში არ არის ასახული გადაწყვეტილებები. რიგ შემთხვევებში საბჭოს სხდომაზე იხილავდნენ/ისმედნენ ისეთ საკითხებს, რომელიც არ წარმოადგენს გენდერული თანასწორობის საბჭოების კომპეტენციას და თავად ამ საბჭოების საქმიანობის მიზანს.<sup>62</sup> ჩატარებული გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების ოქმების მნიშვნელოვანი ნაწილი ზედაპირულია და სხდომების გამართვის ფორმალურ მხარეზე მიუთითებს. მაგ. ონის მუნიციპალიტეტში 2019 წლის 21 იანვარს და ზუსტად ერთი წლის თავზე, 2020 წლის 21 იანვარს გამართული გენდერული საბჭოს სხდომის ოქმები სრულად იდენტურია. განსხვავება მხოლოდ სხდომის გამართვის წლებშია.

მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების დებულებების მიხედვით, საბჭოს სხდომების მოწვევის/ჩატარების ორი ძირითადი ფორმა არსებობს. პირველი, როდესაც საბჭოს სხდომა მინიმუმ 3 თვეში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს და მეორე, როდესაც სხდომის დანიშნვა/მოწვევა დამოკიდებულია საბჭოს თავმჯდომარეზე, ან საბჭოს დებულებით განსაზღვრულ წევრთა რაოდენობის მოთხოვნაზე.

საბჭოს სხდომების მინიმუმ 3 თვეში ერთხელ მოწვევის ვალდებულება განსაზღვრულია: ლაგოდეხის, თელავის, საჩხერის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ჭიათურის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში.<sup>63</sup>

საგარეჯოს, ახმეტის, სიღნაღის, ყვარლის, ონის, ტყიბულის, ამბროლაურის, ცაგერის, და ლენტეხის შემთხვევაში, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილება ერთპიროვნულად, საბჭოს თავმჯდომარის მიერ მიიღება, ან დამოკიდებულია საბჭოს დებულებით განსაზღვრულ წევრთა რაოდენობაზე, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა.


---

<sup>62</sup> მაგ. ონის მუნიციპალიტეტში გენდერულ საბჭოს 02.03.2020 წლის სხდომაზე, მოისმინეს - ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია, 14.03.2019 წლის სხდომაზე - ინფორმაცია ბავშვთა საკრებულოს შექმნის შესახებ და სხვა;


<sup>63</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №12, მუხლი 4, პუნქტი 7; თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის დადგენილება №41, მუხლი 4, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ბ“; საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება №30, მუხლი 4, პუნქტი 2; გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის დადგენილება №15, მუხლი 4, პუნქტი 1; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 მარტის დადგენილება №26, მუხლი 4, პუნქტი 1; ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის დადგენილება №39, მუხლი 4, პუნქტი 1; ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 მარტის დადგენილება №9, მუხლი 4, პუნქტი 1;

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ონის, ტყიბულის, ამბროლაურის, საჩხერის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში, ჯამში გენდერული თანასწორობის საბჭოს 89 სხდომა ჩატარდა. მათ შორის ყველაზე მეტი - 23 სხდომა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ხოლო ყველაზე ნაკლები - 1 სხდომა, ყვარლის მუნიციპალიტეტში. რაც შეეხება გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ხარაგაულის, ჭიათურის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოების მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობას, უცნობია.

დეტალური სტატისტიკა ჩატარებული სხდომების შესახებ მუნიციპალიტეტების და წლების მიხედვით ასე გამოიყურება:




ჩატარებული სხდომები წლების მიხედვით 2018-2022  
(20.05.2022-მდე)



ზემოთ აღნიშნულ 89 სხდომიდან, ყველაზე ხშირად საბჭოების განსახილველ საკითხს - გენდერულ საბჭოს სამოქმედო გეგმის გაცნობა, განხილვა-დამტკიცება წარმოადგენს, ხოლო ტოპ 5 საკითხი რომელიც საბჭოებს საქმიანობის მიზნებთან შესაბამისობაშია ასე გამოიყურება:

### მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების მიერ 2018-2022 წლებში განხილული ტოპ 5 თემატური საკითხი



### 3.2. გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმები

მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის პროცესში, მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საბჭოს სამოქმედო გეგმები. კველვაზე მუშაობის დროს, სამწუხაროდ, 16-ვე მუნიციპალიტეტის მიერ არ მომხდარა სამოქმედო გეგმების მონოღება. უფრო მეტიც, მონოღებული სამოქმედო გეგმები არ მოიცავს სრულად 2018-2022 წლების პერიოდს.

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის და მონოღებული სამოქმედო გეგმების ანალიზის მიხედვით ნათელია, რომ:

საანგარიშო 2018-2022 წლებში, შესწავლილი მუნიციპალიტეტების ნაწილს, დროის სრულ მონაკვეთზე განერილი სამოქმედო გეგმები არ გააჩნდათ/გააჩნიათ. მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმები ხშირად იდენტურია და არ ასახავს ადგილობრივ დონეზე არსებულ რეალურ საჭიროებებს. მაგ.: ამბროლაურის, ონის, ცაგერის, საჩხერის, ტყიბულის, თელავის, ლაგოდეხის, ახმეტის და ყვარლის მუნიციპალიტეტების მიერ მონოღებული გენდერული საბჭოების 2018-2023 წლების სამოქმედო გეგმებში ასახული ამოცანების დიდი ნაწილი სრულად იდენტურია. ეს მაჩვენებელი 50%-დან იწყება და რიგ შემთხვევაში 100% აღწევს. როგორც წესი,



მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმები ერთი შაბლონური ვერსიიდან არის შექმნილი და წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ იცვლება. მიუხედავად მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმის მსგავსებისა, საერთო ამოცანები მრავალფეროვანია. თუმცა, ამოცანების მრავალფეროვნების პარალელურად, სამოქმედო გეგმების ეფექტურად შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამავდროულად, როგორც ჩატარებული სხდომის ოქმებიდან ირკვევა, მთელ რიგ შემთხვევებში მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებს საერთოდ არ უმსჯელიათ სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ. უკეთეს შემთხვევაში კი სხდომაზე საკითხის მოსმენა ზედაპირულ ხასიათს ატარებდა.

ამბროლაურის, ონის, ცაგერის, საჩხერის, ტყიბულის, თელავის,<sup>64</sup> საგარეჯოს<sup>65</sup> და ლაგოდეხის, მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების სამოქმედო გეგმები პოლიტიკის დოკუმენტებისთვის დამახასიათებელი ნაწილებისგან შედგება:

- მიზანი;
- ამოცანა;
- საქმიანობა;
- საქმიანობის ინდიკატორი;
- ბიუჯეტი;
- დაფინანსების წყარო;
- პასუხისმგებელი უწყება;
- პარტნიორი უწყება;
- შესრულების ვადები.

სამოქმედო გეგმის ზემოთ მოყვანილი ფორმისგან მცირედით განსხვავდება ახმეტის და ყვარლის მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების სამოქმედო გეგმები და მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილები	ყვარლის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილები
<ul style="list-style-type: none"> <li>• პრიორიტეტი;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ამოცანა;</li> </ul>

<sup>64</sup> 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაში არ არის შეტანილი პროგრამის მიზნები, ხოლო 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმაში ნალკე არის წარმოდგენილი ძირითადი მიზნები და გეგმიდან ამოღებულია ინფორმაცია ბიუჯეტის და დაფინანსების წყაროს შესახებ;

<sup>65</sup> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში ცალკე გამოყოფილი არ არის ამოცანის ნაწილი;

<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობა;</li> <li>• ინდიკატორი;</li> <li>• ბიუჯეტი;</li> <li>• დაფინანსების წყარო;</li> <li>• შემსრულებელი;</li> <li>• პარტნიორი ორგანიზაცია;</li> <li>• ვადა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიზანი/საქმიანობა;</li> <li>• პასუხისმგებელი;</li> <li>• შემსრულებელი;</li> <li>• ვადა;</li> <li>• მოსალოდნელი შედეგი</li> </ul>
--	---

კვლევის დროს 9 მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის და ორი მუნიციპალიტეტის<sup>66</sup> შესახებ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმები მოიცავს პერიოდს 2017 წლიდან 2023 წლის ჩათვლით. ამასთან, სამოქმედო გეგმების დაწყების და დასრულების თარიღები სხვადასხვაა. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია თითოეული სამოქმედო გეგმის დაწყების და დასრულების თარიღის შესახებ.

წელი მუნიც.	2017 2018	2018 2019	2018 2020	2019 2020	2020	2020 2021	2021	2021 2022	2022	2021 2023	2022 2023
საგარეჯო	-	X	-	-	-	-	X	-	X	-	-
ლაგოდეხი	-	X	-	-	-	-	-	-	-	-	-
თელავი	-	X	-	-	-	X	-	-	-	-	X
ახმეტა	X	-	-	X	-	-	-	X	-	-	-
ონი	-	-	-	X	-	-	-	-	-	X	-
ტყიბული	-	-	-	X	-	-	-	X	-	-	-
ამბროლაური	-	-	-	X	-	-	-	-	-	-	X
საჩხერე	-	X	-	-	-	-	-	-	-	-	X
ყვარელი	-	-	X	-	-	-	-	-	-	-	-
ცაგერი	-	X	-	-	-	X	-	-	-	-	X
ჭიათურა	-	-	-	X	-	-	-	-	-	-	-
ხარაგაული	-	X	-	-	X	-	X	-	-	-	-

<sup>66</sup> ჭიათურის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები;

კვლევის პროცესში, სამოქმედო გეგმების ანალიზისას, მეორე ეტაპზე, საჯარო ინფორმაციის სახით, მკვლევარების მიერ გამოთხოვილ იქნა მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების მიერ სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული შემდეგი ინფორმაცია (რიგ შემთხვევაში, მონაცემების დაზუსტება მოხდა ინდივიდუალურ დონეზე):

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზის ამსახველი დოკუმენტი/შედეგები;
- საქმიანობის ინდიკატორების შესრულების ამსახველი დოკუმენტები (ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები, გამოქვეყნებული ანალიზის შედეგები);
- თანახმად ჩატარებული კვლევები (პრიორიტეტების და მუნიციპალური პროგრამების საჭიროებათა კვლევა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და მოსახლეობის ჩართულობით; კულტურისა და სპორტის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა, გენდერულ ჭრილში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება);
- საქმიანობის ინდიკატორების შესრულების ამსახველი დოკუმენტები (საჭიროებების და სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი; ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები; ბიუჯეტსა და მუნიციპალურ პროგრამებში ასახული რეკომენდაციები);
- ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე მომზადებული და ბიუჯეტში ასახული, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროგრამები.

### 3.2.1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

---

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2018-2022 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოს ორი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. პირველი გეგმა მოიცავდა 2019-2020 წლებს, ხოლო მეორე 2022-2023 წლებს უკავშირდება.<sup>67</sup> იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის ძირითად ტექსტზე მუშაობის დროს 2022 წელი დასრულებული არ იყო, ამბროლაურის

---

<sup>67</sup> ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 23 მაისის #77-77221437 წერილი;

მუნიციპალიტეტს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით, გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაციის მონოღება ეთხოვა:<sup>68</sup>

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.1.1.“ პუნქტით ჩატარებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზის ამსახველი დოკუმენტი/შედეგები;
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.1.2.ა“ და „2.1.2.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესრულების ამსახველი დოკუმენტები (ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები, გამოქვეყნებული ანალიზის შედეგები);
3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.2.1.“ და „2.3.1“ პუნქტების თანახმად ჩატარებული კვლევები (პრიორიტეტების და მუნიციპალური პროგრამების საჭიროებათა კვლევა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და მოსახლეობის ჩართულობით; კულტურისა და სპორტის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა, გენდერულ ჭრილში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება);
4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.5.1.ა.“, „2.5.1.ბ.“ და „2.5.1.გ.“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესრულების ამსახველი დოკუმენტები (საჭიროებების და სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი; ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები; ბიუჯეტსა და მუნიციპალურ პროგრამებში ასახული რეკომენდაციები);
5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.6.3.“ პუნქტით ჩატარებული კვლევები (ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე მომზადებული და ბიუჯეტში ასახული, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროგრამები).

განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად უკავშირდებოდა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ისეთ საკითხს, როგორცაა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, მუნიციპალური პროგრამების და პროექტების იმგვარად დაგეგმვა და განხორციელება, რომ ქალების და კაცების, ბიჭების და გოგონების საჭიროებები ყოფილიყო გათვალისწინებული. როგორც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციიდან ირკვევა:

<sup>68</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/49-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.1.1“ პუნქტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი არ გაკეთებულა;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.1.2.ა“ 2.1.2.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესრულების ამსახველი დოკუმენტები არ არსებობს;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.2.1“ და „2.3.1“ პუნქტების თანახმად კვლევები არ ჩატარებულა;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.5.1.ა“, „2.5.1.ბ“ და „2.5.1.გ“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობის შესრულების ამსახველი დოკუმენტები არ არსებობს;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.6.3“ პუნქტით გათვალისწინებული კვლევები არ ჩატარებულა.<sup>69</sup>

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენცია მოწმობს, რომ გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებები არ შესრულებულა და ამგვარი ვალდებულებების აღება ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, როგორც წესი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ვალდებულია, წელიწადში ერთხელ, მოამზადოს საბჭოს საქმიანობის ამსახველი ანგარიში და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს.<sup>70</sup> თუმცა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობით აქვს დადასტურებული, რომ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, საკრებულოსთვის ანგარიში არ წარუდგენია.<sup>71</sup> შესაბამისად, უცნობია, თუ რატომ არ შესრულდა გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით აღებული ის ვალდებულებულებები, რომელიც სამოქმედო გეგმით იყო განსაზღვრული.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა, რაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული კომპონენტებს უკავშირდება, პრაქტიკულად არ სრულდება.

<sup>69</sup> ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 19 დეკემბრის #77-77223532 წერილი;

<sup>70</sup> ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის დადგენილება №35, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ლ“;

<sup>71</sup> ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 მაისის #77-77221437 წერილი;

### 3.2.2. ონის მუნიციპალიტეტი

---

ონის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2018-2022 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ, გენდერული თანასწორობის საბჭოს ორი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. პირველი გეგმა მოიცავდა 2019-2020 წლებს, ხოლო მეორე 2021-2023 წლებს უკავშირდება.<sup>72</sup>

კვლევაზე მუშაობის დროს, ონის მუნიციპალიტეტში წარდგენილი იქნა განცხადება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების იმ ნაწილის შესახებ, რომელიც გენდერულ ბიუჯეტირებას უკავშირდებოდა. კერძოდ:

1. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის - „2.1.1.“ პუნქტის საფუძველზე ჩატარებული გენდერული ანალიზის ამსახველი დოკუმენტები (ბიუჯეტის გენდერული ანალიზი და თანმდევნი დოკუმენტები);
2. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის - „2.1.1.ა“ და „2.1.1.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები, ანალიზის გამოქვეყნებული შედეგები);
3. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის - „2.1.2.ა“, „2.1.2.ბ“, „2.1.3.ა“ და „2.1.3.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვების/გამოკითხვების და მათში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში);
4. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის - „2.2.1.ა“, „2.2.1.ბ“ „2.2.1.გ“, „2.2.2.ა“ და „2.2.2.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (ჩატარებული კვლევის ანგარიში და ჩატარებული შეხვედრების შედეგები, დადგენილი პრიორიტეტები);
5. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის - „2.3.1.“ პუნქტის საფუძველზე ჩატარებული კვლევა (კულტურისა და სპორტის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა, გენდერულ ჭრილში და მომზადებული რეკომენდაციები);

---

<sup>72</sup> ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 15 ივნისის 79-7922166001 წერილი;

6. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის - „2.3.1.ა“, „2.3.1.ბ“, „2.3.2.ა“, „2.3.3.ა“, „2.4.1.ა“, „2.4.1.ბ“, „2.4.2.ა“, „2.4.2.ბ“, „2.4.2.გ“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (კულტურისა და სპორტის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და ბიუჯეტში ასახული რეკომენდაციები, მუნიციპალიტეტის მიერ გადამზადებული აღმზრდელ-პედაგოგები, ჩატარებული შეხვედრები, მონაწილეთა რაოდენობა და რეკომენდაციები, ახალგაზრდული სათათბიროების შექმნა და დაკომპლექტება);
7. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის - „2.5.1.ა“, „2.5.1.ბ“ და „2.5.3.ა“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (საჭიროებების და სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი, ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები, წარმატებული ქალი სპორტსმენების წარმოსაჩენად მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული შეხვედრა);
8. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმის - „2.6.1.ა“, „2.6.1.ბ“, „2.6.2.ა“ და „2.6.2.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ჩატარებული კვლევის ანგარიში და კვლევის საფუძველზე მუნიციპალურ პროგრამებში მომზადებული/ასახული რეკომენდაციები)<sup>73</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ონის მუნიციპალიტეტს 2018-2022 წლების მანძილზე, ისევე როგორც 2023 წლისათვის მნიშვნელოვანი ვალდებულებები აქვს აღებული გენდერული ბიუჯეტირების მიმართულებით, რეალურად ის ვალდებულებები, რაც მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმაშია განწერილი არ შესრულებულა. აღნიშნული, ონის მუნიციპალიტეტის მიერ, 2022 წლის 14 დეკემბრის შესაბამისი კორსეპოდენციით არის დადასტურებული.<sup>74</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ვალდებულია, წელიწადში ერთხელ, მოამზადოს საბჭოს საქმიანობის ამსახველი ანგარიში და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს.<sup>75</sup> თუმცა, ამ ეტაპზე უცნობია, წარადგენდა თუ არა საერთოდ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

<sup>73</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის გ-01/50-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>74</sup> ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 14 დეკემბრის #79-7922348001 წერილი;

<sup>75</sup> ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის დადგენილება №13, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „კ“;

საქმიანობის ამსახველ ანგარიშს საკრებულოში და წარდგენის შემთხვევაში აღნიშნული ანგარიში მოიცავდა თუ არა ინფორმაციას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ისეთი ვალდებულებების შესრულების შესახებ, რომლებიც გენდერულ ბიუჯეტირებასთან არის დაკავშირებული.

### 3.2.3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

---

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2018-2022 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ, გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა და იგი 2018-2019 წლებს მოიცავს.<sup>76</sup> შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს წარედგინა განცხადება,<sup>77</sup> ამავე მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ისეთი ვალდებულებების შესრულების შესახებ, რაც გენდერულ ბიუჯეტირებას უკავშირდება. კერძოდ:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის - „2.1.1.“ პუნქტის საფუძველზე ჩატარებული გენდერული ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;
2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის - „2.1.1.ა“ და „2.1.1.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;<sup>78</sup>
3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის - „2.1.2.ა“, „2.1.2.ბ“, „2.1.3.ა“ და „2.1.3.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;<sup>79</sup>
4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის - „2.2.1.ა“, „2.2.1.ბ“, „2.2.1.გ“, „2.2.2.ა“ და „2.2.2.ბ“ პუნქტებით

---

<sup>76</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 ივლისის ელექტრონული წერილი ელ.ფოსტაზე.

<sup>77</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის გ-01/56-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>78</sup> ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შედეგები და გამოქვეყნებული რეკომენდაციები;

<sup>79</sup> ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვები/გამოკითხვები, განხილვებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში, ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, მათ შორის გენდერულ ჭრილში;



განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;<sup>80</sup>

5. ლაგოდების მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის - „2.3.1.“ პუნქტის საფუძველზე ჩატარებული კვლევა;<sup>81</sup>
6. ლაგოდების მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის - „2.3.1.ა“, „2.3.1.ბ“, „2.3.2.ა“, „2.3.3.ა“, „2.4.1.ა“, „2.4.1.ბ“, „2.4.2.ა“, „2.4.2.ბ“, „2.4.2.გ“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;<sup>82</sup>
7. ლაგოდების მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის - „2.5.1.ა“, „2.5.1.ბ“ და „2.5.3.ა“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;<sup>83</sup>
8. ლაგოდების მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის - „2.6.1.ა“, „2.6.1.ბ“, „2.6.2.ა“ და „2.6.2.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;<sup>84</sup>

ზემოთ აღნიშნული განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის პასუხად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია მწერილობით აღნიშნა, რომ განცხადება გადაგზავნილი იყო

<sup>80</sup> კვლევის ანგარიში, შეხვედრების შედეგები და დადგენილი პრიორიტეტები, მომზადებული რეკომენდაციები და სტრატეგიულ დოკუმენტში შესული ცვლილებები;

<sup>81</sup> კულტურის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა, გენდერულ ჭრილში და შესაბამისი რეკომენდაციები;

<sup>82</sup> კულტურის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები, 2019 წლის ბიუჯეტში ასახული რეკომენდაციები. სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებში ჩატარებული ანალიზის ანგარიში და რეკომენდაციები; კრებულის სახით გამოცემული ესეების კრებული; ახალგაზრდების საჭიროებების დადგენის მიზნით ახალგაზრდებთან (მათ შორის შშმ პირებთან) შეხვედრების ჩატარება ჩატარებული შეხვედრების და მათში მონაწილეთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით და გენდერულ ჭრილში და მიღებული რეკომენდაციები; „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015-2020 წ.წ.)“ ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება ახალგაზრდული სათათბიროების შექმნის შესახებ; სათათბიროს განსხვავებული სქესით არანაკლებ 40% –ით დაკომპლექტების დამადასტურებელი დოკუმენტი; ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ჩართულია მუნიციპალიტეტის პროგრამების და პოლიტიკის ფორმირების პროცესში;

<sup>83</sup> ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, საჭიროებების და სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი; ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები; სპორტულ ცხოვრებაში გოგონათა და ქალთა ჩართულობის პოპულარიზაციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული შეხვედრები სადაც წარმატებული ქალი სპორტსმენების წარმოჩენა მოხდა;

<sup>84</sup> ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ჩატარებული კვლევის ანგარიში და რეკომენდაციები; ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ჩატარებული ანალიზის შედეგები და მუნიციპალურ პროგრამებში ასახული რეკომენდაციები;

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოში.<sup>85</sup> თუმცა, საკუთრივ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს არანაირი ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

როგორც ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, ლაგოდების მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო ვალდებულია, წელიწადში ერთხელ, მოამზადოს საბჭოს საქმიანობის ამსახველი ანგარიში და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს.<sup>86</sup> თუმცა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მხოლოდ ერთხელ წარადგინა ანგარიში, მაგრამ ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმ ვალდებულებების შესრულების შესახებ, რაც გენდერულ ბიუჯეტირებასთან არის დაკავშირებული.<sup>87</sup> უფრო მეტიც, საბჭოს ანგარიში იმდენად ზედაპირულია, რომ არც თარიღი და არც შესაბამისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა არ ერთვის თან.<sup>88</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში რამდენიმე ისეთი აქტივობაა აღნიშნული, რაც საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით, გენდერულ ბიუჯეტირებასთან არის დაკავშირებული, ლაგოდების მუნიციპალიტეტს არ წარმოუდგენია არცერთი დოკუმენტი რაც აღნიშნული აქტივობების შესრულებას დაადასტურებდა.

### 3.2.4. თელავის მუნიციპალიტეტი

წარმოდგენილ კვლევაზე მუშაობის დროს, თელავის მუნიციპალიტეტი ერთადერთი იყო, ვინც განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი წერილობითი ფორმით გასცა.<sup>89</sup> ამასთან, განსხვავებით სხვა მუნიციპალიტეტებისაგან, თელავის მუნიციპალიტეტში წარდგენილი განცხადება შედარებით უფრო მოცულობითი იყო, რაც საანგარიშო პერიოდში თელავის მუნიციპალიტეტის მიერ, ორი, 2018-2019 და 2020-2021 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამატკიცებას უკავშირდება.<sup>90</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმები პრაქტიკულად იდენტურია, განცხადების შინაარსის თვალსაზრისით, თელავის მუნიციპალიტეტის შემთხვევაშიც იდენტური ინფორმაცია

<sup>85</sup> ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022 წლის 23 დეკემბრის #92-922235724 წერილი;

<sup>86</sup> ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №12; მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი“;

<sup>87</sup> კვლევა - "მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო (ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდების, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების მაგალითზე)", ღია სივრცე კავკასია, თბილისი, 2022 წ.;

<sup>88</sup> ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022 წლის 14 ივლისის ელექტრონული წერილი, ელ. ფოსტაზე;

<sup>89</sup> თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 8 დეკემბრის ელექტრონული წერილი, ელ. ფოსტაზე;

<sup>90</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის # გ-01/54-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

იქნა მოთხოვნილი, როგორც ეს ლაგოდების, ონის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში იყო. აღნიშნული სამი მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით, კვლევაზე მუშაობის დროს, თელავის მუნიციპალიტეტისგან მოწოდებული იქნა მოთხოვნილი ინფორმაციის ერთი ნაწილი, ისევე როგორც კვლევის ავტორს ხელი მიუწვდებოდა მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს საქმიანობის 2018-2021 წლების ანგარიშებზე.<sup>91</sup>

თუმცა, თელავის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას არ ახლავს დოკუმენტისათვის საჭირო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი. განცხადების პასუხად მოთხოვნილი ინფორმაცია ფრაგმენტული სახით წარმოდგენილია იქნა ელ.ფოსტაზე, ვორდის ფაილის ფორმით.<sup>92</sup>

როგორც თელავის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული შეფასების მიზნით, მუნიციპალიტეტის სამსახურებიდან და ააიპ-ებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2019 წლის მუნიციპალური პროგრამებით მოსარგებლეთა შესახებ (სქესისა და ასაკის ნიშნით). მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად კი შეფასდა მუნიციპალური პროგრამების გენდერული მგრძობელობა.<sup>93</sup>

პარალელურად, მუნიციპალიტეტის გენდერულმა საბჭომ, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, 2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საკითხების იდენტიფიცირების მიზნით, ჩაატარა ფოკუს ჯგუფები (დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით მოსარგებლე და შშმ პირების ნაწილში) და მოახდინა მათი საჭიროებების გამოვლენა. მუნიციპალიტეტის განცხადებით, შედეგად ცნობილი გახდა, რომ:

---

<sup>91</sup> თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის გაგზავნილი 2020 წლის 28 თებერვლის #2; 2022 წლის 20 აპრილის #2 კორესპონდენცია (სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში);

<sup>92</sup> თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 8 დეკემბრის ელექტრონული წერილი, ელ. ფოსტაზე;

<sup>93</sup> თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 8 დეკემბრის ელექტრონული წერილი, ელ. ფოსტაზე;

- სოციალური ქვეპროგრამით გამოყოფილი ქირის თანხა არასაკმარისია და შესაბამისად არაეფექტურია.
- მოსაძიებელია ალტერნატიული გზა თავშესაფრის არმქონე პირებისთვის თავშესაფრით უზრუნველყოფად. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას უსახლკარო და სოციალურად შეჭირვებულ პირთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რათა შემდგომ მოხდეს აღნიშნული სტატუსის მქონე პირთათვის საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის დანერგვა.
- სასურველია არსებულ სოციალურ პროგრამებს დაემატოს ახალი ქვეპროგრამა „ერთი თბილი ოთახი“, რომლითაც ისარგებლებენ სტიქიური უბედურების ან სხვა რაიმე ობიექტური გარემოებების შედეგად დაზარალებული სოციალურად გაჭირვებული ოჯახები.
- სოციალურ პროგრამაში შესატანია ცვლილება, კერძოდ, ცვლილების შედეგად უნდა მოიხსნას ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირისთვის ქირით ან თავშესაფრით უზრუნველყოფის გავრცელების შეზღუდვა, კერძოდ პროგრამით გათვალისწინებული ფაქტობრივი ცხოვრების 5 წლიანი ვადა უნდა შემცირდეს.
- სათბობით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გამოყოფილი თანხა არასაკმარისია სათბობით უზრუნველყოფისთვის და აუცილებელია მისი გაზრდა.
- სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა არის არაეფექტური ვინაიდან აღნიშნული დახმარების გაცემისას ადგილი აქვს გარკვეულ ხარვეზებს, რომლის გამოც აღნიშნული პროგრამის მიზანი არ სრულდება. სასურველია მოხდეს ამ ქვეპროგრამის გადახედვა მისი სრულყოფისთვის.
- სოციალური პროგრამით მოსარგებლეთა სურვილია, პერიოდულად შესწავლილ იქნას მათი სოციალური მდგომარეობა, რათა მუნიციპალური პროგრამები იყოს მათზე მორგებული.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის 9 სამსახურის უფროსს, განყოფილების უფროსებს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩაუტარდათ 2 დღიანი ტრენინგი გენდერულ ბიუჯეტირებაზე.

თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საბჭოს ჩართულობის მიზნით ჩატარდა წინასწარ შერჩეულ სამიზნე ჯგუფებთან (თავშესაფრის არ მქონე და ძალადობის მსხვერპლი ქალები; შშმ პირები) პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისათვის კვლევა და მომზადდა ორი ინიციატივა:

ქალაქ თელავში საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირებისა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების შესაბამისად

სოციალურად გაჭირვებული უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. (დანართები) წერილი და ოქმი N5 2018.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო პროცესში გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, წარდგენილ იქნა შემდეგი პროექტები:

- უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართითა და სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ;
- სოციალურად დაუცველი მარტოხელა, საწოლს და სახლს მიჯაჭვული ხანდაზმულის შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ. (დანართი

აღნიშნული ორ პროგრამასთან დაკავშირებით, თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის თანახმად, შემდეგი ორი პროგრამა განხორციელდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 08		87,50
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამით მოსარგებელ კატეგორია: ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უფარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი. მოსარგებელე კატეგორია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლი პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირთა ოჯახები, პირები, რომლებიც გასული არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან. აღნიშნული კატეგორია დაფინანსდება თვეში 100 ლარის ფარგლებში.</p> <p>მიზანი: პროგრამით მოსარგებელ კატეგორიის უზრუნველყოფილა გარკვეული დროით თავშესაფრით</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს წითელი ჯვრის თანადაფინანსება	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 15		11,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>"საქმიანობათა ცენტრი თელავში უსაფრთხო გარემოში და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" განახორციელებს დაუცველი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდების სოციალურ მხარდაჭერას დღის ცენტრის მომსახურებისა და ბინაზე მოვლის სერვისის მიწოდებით. ასევე, უსაფრთხო თემების განვითარების ხელშეწყობა, კატასტროფების რისკების შემცირებით, ჯანდაცვაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით</p> <p>მიზანი: უსაფრთხო თემების განვითარების ხელშეწყობა, კატასტროფების რისკების შემცირებით, ჯანდაცვაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით.</p>		

საერთო ჯამში, როგორც თელავის მუნიციპალიტეტის 2021 ბიუჯეტიდან ირკვევა, მუნიციპალიტეტის ორი პროგრამის ჯამურმა ბიუჯეტმა 98,800 ლარი შეადგინა.<sup>94</sup>

<sup>94</sup> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბერის №35 დადგენილება თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), ბოლო ნახვა, 9.05.2023);

კიდევ ერთი ინფორმაცია რაც კველვაზე მუშაობის დროს თელავის მუნიციპალიტეტის მიერ იქნა წარმოდგენილი, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსთვის, 2020 წლის სექტემბერში წარდგენილ ინიციატივებს უკავშირდება.<sup>95</sup> მართალია აღნიშნული წინადადებები სცილდება მუნიციპალიტეტის ღონეზე გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკუთებს, თუმცა საკითხების წრე, რომელსაც წარდგენილი ინიციატივები მოიცავდა, მთლიანობაში შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს გენდერული ბიუჯეტირებისათვის. კერძოდ საუბარია შემდეგ ინიციატივებზე:

- მუნიციპალიტეტის ორგანოების სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზებთან ხელმისაწვდომობა.
- სოციალურად დაუცველი მართხელა ან/და მართო მცხოვრები მოხუცთა შინ მოვლის პროგრამის წარდგენა აღმასრულებელ ორგანოში.
- შშმ პირებისათვის ფსიქიკური ჯანმრთელობის დამატებითი სერვისების დანერგვა.

- ქალი მეწარმეების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო საგრანტო კონკურსებში დამატებითი შეღავათების შემოღება.
- შრომის კოდექსში, პანდემიის პირობებში, იმ დასაქმებული დედებისთვის, რომელთა შვილებიც ვერ სარგებლობენ სკოლამდელი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებით შემოღებულ იქნას დამატებითი შეღავათები, კერძოდ სამუშაო დროის შემცირების შესახებ.
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში შესატანი ცვლილების შესახებ.

<sup>95</sup> თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 8 დეკემბრის ელექტრონული წერილი, ელ. ფოსტაზე;

### 3.2.5. საჩხერის, ტყიბულის, ცაგერის, ახმეტის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, ლენტეხის, სიღნაღის, ჭიათურის და ხარაგულის მუნიციპალიტეტები

---

კვლევაზე მუშაობის დროს, ამბროლაურის, ონის, ლაგოდეხის და თელავის მუნიციპალიტეტების მსგავსად, 2018-2022 წლებში, მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების მონაწილეობით, გენდერული ბიუჯეტირების მიმართულებით შესაბამისი განეული საქმიანობის თაობაზე განცხადებები წარდგენილი იყო ასევე კიდევ ხუთ მუნიციპალიტეტში. კერძოდ: საჩხერის<sup>96</sup>, ტყიბულის<sup>97</sup>, ცაგერის<sup>98</sup>, ახმეტის<sup>99</sup> და საგარეჯოს<sup>100</sup> მუნიციპალიტეტებში. თუმცა აღნიშნული მუნიციპალიტეტების მიერ წარდგენილი განცხადებები უპასუხოდ იქნა დატოვებული. შესაბამისად, კვლევის ამ ნაწილში მოკლებული ვართ შესაძლებლობას, რომ გენდერული ბიუჯეტირების მიმართულებით, აღნიშნული მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობა/მონაწილეობა, ოფიციალური, მუნიციპალიტეტის მიერ მონოღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შევაფასოთ.

რაც შეეხება შემდეგ ექვს მუნიციპალიტეტს: დედოფლისწყარო, გურჯაანი, ლენტეხი, სიღნაღი, ჭიათურა და ხარაგული, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მუნიციპალიტეტების მიერ, მუშაობის დროს არ იქნა მონოღებული, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოების სამოქმედო გეგმები, დამატებით განცხადებები ინფორმაციის გაცემის თაობაზე აღარ წარდგენილა. სანაცვლოდ, კვლევაზე მუშაობის დროს, ცალკე შეფასდა მუნიციპალიტეტების მიერ, პროაქტიულად, საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ის ინფორმაცია, რაც ბიუჯეტთან და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. აღნიშნულ საკითხს კვლევაში ცალკე თავი ეთმობა.

---

<sup>96</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/51-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>97</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/52-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>98</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/53-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>99</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/55-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

<sup>100</sup> 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/57-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

### 3.3. საქმიანობის ამსახველი ანგარიშები

გენდერული საბჭოების საქმიანობის შეფასების პროცესში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა საბჭოს მიერ განეული საქმიანობის ამსახველი ანგარიშების შესწავლა.

კვლევაში განხილული 16 მუნიციპალიტეტიდან 9 მუნიციპალიტეტს: ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, ონი, ტყიბული, ამბროლაური, საჩხერე, ცაგერი და ლენტეხი, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადების და წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენის ვალდებულება, საბჭოს დებულებით აქვს განსაზღვრული.<sup>101</sup>

თელავის, გურჯაანის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულია, წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოსთვის, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა და არა თავად საბჭოს საქმიანობის შესახებ.<sup>102</sup>

ახმეტის, ყვარლის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, კი გენდერული თანასწორობის საბჭოებს, წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტის საკრებულოებისთვის, როგორც განეული საქმიანობის, ისე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა ევალებათ.<sup>103</sup>

<sup>101</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №12; მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი“; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის დადგენილება №6, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „თ“; ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის დადგენილება №13, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „კ“; ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №17, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ლ“; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის დადგენილება №35, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ლ“; საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება №30, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი“; ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 თებერვლის დადგენილება №26, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი“; ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 სექტემბრის დადგენილება №16, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი“; სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №24, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „თ“;

<sup>102</sup> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის დადგენილება №41, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ო“; გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის დადგენილება №15, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“; ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის დადგენილება №39, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“;

<sup>103</sup> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის დადგენილება №11, მუხლი 2, პუნქტი 2; ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 სექტემბრის დადგენილება №19, მუხლი 2, პუნქტი 2; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 მარტის დადგენილება №26, მუხლი 2, პუნქტი 2;



საკრებულოსთვის წელიწადში ერთხელ ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას არ ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება.<sup>104</sup>

კვლევის პროცესში, დამუშავდა: თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,<sup>105</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019(?) წლების საქმიანობის ამსახველი ანგარიში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2021-2022 წლების საქმიანობის ამსახველი ანგარიში<sup>106</sup> და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ამსახველი - 2018-2019, 2020 და 2021 წლების ანგარიშები.<sup>107</sup> დანარჩენი მუნიციპალიტეტების მიერ, მოთხოვნილი ინფორმაცია საქმიანობის ამსახველი ანგარიშების შესახებ უპასუხოდ იქნა დატოვებული. მხოლოდ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აღნიშნა წერილობით, რომ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში არ წარუდგენია.<sup>108</sup>

კვლევის პროცესში მიღებული ოთხი მუნიციპალიტეტის ექვსი ანგარიშიდან, მხოლოდ ერთი, თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშია, რომელიც სტრუქტურულად მიჰყვება სამოქმედო გეგმას.<sup>109</sup> ანგარიშში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი ინფორმაცია, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების, ამოცანების და საქმიანობის შესრულების შესახებ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების საქმიანობის ანგარიშის ნაწილი საბჭოს საქმიანობის ორგანიზების საკითხებს უკავშირდება.<sup>110</sup> ხოლო მეორე ნაწილი საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ კონკრეტულ აქტივობებს ასახავს.<sup>111</sup> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ამსახველი 2020 წლის ანგარიშის ნაწილი საბჭოსთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს იმეორებს, ხოლო მეორე ნაწილი ძირითადად საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების აქტივობების:

<sup>104</sup> ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 მარტის დადგენილება №9;

<sup>105</sup> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2022 წლის 20 მაისის # 01-27221402 წერილი;

<sup>106</sup> ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივნისის #75-7522152001 წერილი;

<sup>107</sup> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ივლისის #01-5322203001 წერილი;

<sup>108</sup> ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 მაისის #77-77221437 წერილი;

<sup>109</sup> თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28.02.2020 წლის #2 კორექსონდენცია;

<sup>110</sup> მაგ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცება და საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრა; უპასუხმისგებელი პირის და საბჭოს მდივნის განსაზღვრა და სხვა;

<sup>111</sup> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 ივლისის #01-5322203001 წერილი;

ტრენინგების, გამოფენების და კამპანიების თემებზე აქცენტირებული.<sup>112</sup> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კიდევ ერთი - 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, წინა წლების ანგარიშებში ასახული საკითხების პარალელურად, მოიცავს ასევე სხვადასხვა სახის შეხვედრების და ღონიძირებების ჩამონათვალს.<sup>113</sup>

რაც შეეხება ტყიბულის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების ანგარიშებს, დოკუმენტები არ არის სისტემატიზირებული და პრაქტიკულად შეუძლებელია ანგარიშების მიხედვით, სამოქმედო გეგმების შესრულების გაზომვა.

მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასა და სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით არსებული რეალობა მონშობს, რომ: მუნიციპალიტეტებში, საკრებულოების წინაშე, გენდერული თანასწორობის საბჭოების ანგარიშვალდებულების სისტემა პრაქტიკულად არ მუშაობს. სავარაუდოდ დაბალია თავად საკრებულოების მხრიდან საბჭოს საქმიანობის ეფექტური კონტროლი. სათანადო წესით მომზადებული ანგარიშების არ არსებობის პირობებში, შეუძლებელია საბჭოს საქმიანობის და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება, თუ რამდენად ხდება სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულება.

### **3.4. მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გენდერული თანასწორობის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია**

---

მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებ გვერდები მნიშვნელოვანი წყაროა, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. კვლევის ამ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ გვერდებზე, გენდერული თანასწორობის შესახებ განთავსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების ვებ გვერდებზე, არც კანონით და არც თვითმართველობების აქტებით, გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნების ვალდებულება არ არსებობს.<sup>114</sup>

---

<sup>112</sup> იქვე;

<sup>113</sup> იქვე;

<sup>114</sup> 2022 წლის 31 ივლისის მდგომარეობით: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31.08.2022 წლის დადგენილება №28 - საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესის, და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო



შესაბამისად, მუნიციპალიტეტები თავად განსაზღვრავენ გამოაქვეყნონ, თუ არა ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე. შედეგად, ყველა მუნიციპალიტეტი ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი ინფორმაცია გამოაქვეყნოს ვებ გვერდზე, ან საერთოდ უარი თქვას ამ ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნებაზე. რაც განაპირობებს იმას, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია გენდერული საბჭოების საქმიანობის შესახებ არ არის სრულყოფილი და სისტემატური.

კვლევაზე მუშაობის დროს განისაზღვრა შემდეგი 7 საკითხი, რომელთა გამოქვეყნებაც მუნიციპალიტეტების ვებ გვერდებზე იქნა გადამონმეხული:

- გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ოქმები;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ანგარიშები;
- გენდერული თანასწორობის სტრატეგია;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმები;
- გენდერული სტატისტიკა;

როგორც ვებ გვერდების მონიტორინგმა აჩვენა, პროექტით გათვალისწინებული 16 მუნიციპალიტეტიდან 10-ს საერთოდ არანაირი ინფორმაცია არ აქვს განთავსებული ვებ-გვერდზე, ხოლო დანარჩენი 6 მუნიციპალიტეტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია არ არის სრული, ან საჭიროებს განახლებას.

---

იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 იანვრის №4 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.11.2017 წლის დადგენილება №25 - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ.

იხ. ცხრილი:

მუნიციპალიტეტი	ვებ-გვერდზე ინფორმაცია:		
	გამოქვეყნებულია სრულად	გამოქვეყნებულია ნაწილობრივ	არ არის გამოქვეყნებული
ტყიბული	-	X	-
ხარაგაული	-	X	-
ჭიათურა	-	X	-
ახმეტა	-	X	-
თელავი	-	X	-
გურჯაანი	-	X	-
ამბროლაური	-	-	X
ონი	-	-	X
საჩხერე	-	-	X
ცაგერი	-	-	X
ლენტეხი	-	-	X
ყვარელი	-	-	X
ლაგოდეხი	-	-	X
საგარეჯო	-	-	X
სიღნაღი	-	-	X
დედოფლისწყარო	-	-	X

კვლევის მიზნებისთვის შერჩეული იმ მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდები, სადაც განთავსებულია გარკვეული ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ ასე გამოიყურება:

### 3.4.1. ვებ-გვერდების ანალიზი

---

მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდების მონიტორინგი მოწმობს, რომ გენდერული საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიში მხოლოდ ერთ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს აქვს გამოქვეყნებული, ისიც, მხოლოდ 2018 წლის საქმიანობის,<sup>115</sup> ხოლო 2019 წლის საქმიანობის ანგარიშის ამსახველი გვერდი დაზიანებულია.<sup>116</sup>

კვლევაში განხილული მუნიციპალიტეტებიდან გენდერული თანასწორობის სტრატეგია, ორი - ხარაგაულის და თელავის მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზეა მითითებული. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამოქვეყნებულია 2020-2021 წლების საშუალო ვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია, თუმცა, დოკუმენტის ნაწილი არ იკითხება<sup>117</sup>

თელავის მუნიციპალიტეტს ვებ-გვერდზე კი წარმოდგენილია ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.<sup>118</sup>

გენდერულ სტატისტიკასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მხოლოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს აქვს გამოქვეყნებული, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მაგალითზე. თუმცა, ვებ გვერდზე არ არის მითითებული, თუ რომელის წლის მონაცემებია ვებ გვერდზე წარმოდგენილი.<sup>119</sup>

რაც შეეხება ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებულ სხვა დანარჩენ ინფორმაციას, რაც მუნიციპალიტეტების მიერ, გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებას, საბჭოს შემადგენლობას, ჩატარებული სხდომის ოქმებს და სამოქმედო გეგმებს უკავშირდება, ასე გამოიყურება:

---

<sup>115</sup> ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი - <https://bit.ly/3zalXls> ბოლო ნახვა 29.07.2022;


<sup>116</sup> ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი - <https://bit.ly/3clr0mF> ბოლო ნახვა 29.07.2022;

<sup>117</sup> ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი - <https://bit.ly/3ozafND>, ბოლო ნახვა -29.07.2022;


<sup>118</sup> თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი - [https://telavi.gov.ge/sites/default/files/gankarguleba\\_n13.pdf](https://telavi.gov.ge/sites/default/files/gankarguleba_n13.pdf), ბოლო ნახვა - 29.07.2022;


<sup>119</sup> ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი - <https://bit.ly/3oEq5Xi>, ბოლო ნახვა -29.07.2022;

### გენდერული საბჭოს დებულება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული აქვთ




### გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული აქვთ





თელავის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების გარდა, ჩატარებული სხდომის ოქმების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე მითითებული აქვს, ასევე გურჯაანის მუნიციპალიტეტს. თუმცა, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ამსახველ იმ ნაწილში, სადაც სხდომის ოქმი უნდა იყოს წარმოდგენილი, ტექნიკური ხარვეზებია და დოკუმენტი არ იკითხება.





მთლიანობაში, შეჯამების სახით, მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე, გენდერული თანასწორობის საბჭოებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ინფორმაცია მონშობს, რომ: მუნიციპალიტეტების ვებ გვერდებზე, გენდერული თანასწორობის საბჭოებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სხვადასხვა ინფორმაცია ქაოტურია. მუნიციპალიტეტების დონეზე არ არსებობს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების ნუსხა, რომელიც პროაქტიულად მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე უნდა გამოქვეყნდეს. ხშირ შემთხვევაში, ვებ გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არ არის განახლებული, ან ვებ გვერდის შესაბამისი მისამართი დაზიანებულია და დოკუმენტი არ იხსნება.

### 3.4.2. მუნიციპალური ბიუჯეტების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება

კვლევაზე მუშაობის დროს არაერთხელ იქნა გადამოწმებული მუნიციპალიტეტების მიერ, 2018-2022 წლების ბიუჯეტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების გამოქვეყნების ტენდენცია. მათ შორის, კვლევის დასრულებების შემდეგ, 2023 წლის 9 მაისს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნება - ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულის, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ახმეტის, თელავის, ყვარელის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის და დედოფლისწყაროს საკრებულოების მიერ სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხაში ირიცხება.<sup>120</sup> შესაბამისად, მუნიციპალიტეტების სათანადო

<sup>120</sup> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31.08.2022 წლის დადგენილება №28 - საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესის, და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4.11.2016 წლის დადგენილება №33 - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების და საჯარო ინფორმაციის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ; ყვარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17.10.2014 წლის დადგენილება №40 - საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ; ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.09.2013 წლის დადგენილება №36 - საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.09.2013 წლის დადგენილება №23 - საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ; გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4.04.2016 წლის დადგენილება №14 გურჯაანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.03.2016 წლის დადგენილება №8 - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ; სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.01.2017 წლის დადგენილება №4 - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ; საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20.01.2016 წლის დადგენილება №2 - საჩხერის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ; ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 3.08.2018

სამსახურები ვალდებულნი არიან, საკრებულოს მიერ დადგენილი პერიოდულობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნონ.

თუმცა, ხშირ შემთხვევაში პრაქტიკა მკვეთრად განსხვავებულ რეალობაზე მიუთითებს. შესწავლილი 16 მუნიციპალიტეტის ვებ გვერიდან ირკვევა, რომ 2018-2022 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები და ამავე წლების ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშები სრულად, არცერთ მუნიციპალიტეტს არ აქვს გამოქვეყნებული. შესაძლოა გამოქვეყნებული იყოს ყველა წლის ბიუჯეტი, თუმცა არა კონსოლიდირებული სახით, რაც დიდწილად ართულებს დოკუმენტის გამოყენების შესაძლებლობას. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტების ნაწილის ოფიციალური ვებ-გვერდები პერიოდულად არ მუშაობს და არ იხსნება. დეტალური ინფორმაცია მუნიციპალიტეტების 2018-2022 წლების ბიუჯეტების და შესრულების ანგარიშების თაობაზე ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებშია ასახული:

---

წლის დადგენილება №45 - საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესის დამტკიცების შესახებ; ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4.06.2018 წლის დადგენილება №27 - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ; ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18.11.2015 წლის დადგენილება №38 - ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და გამგეობაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ; ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.03.2016 წლის დადგენილება №12 - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ბეჭდური სახით გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ; ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6.04.2016 წლის დადგენილება №17 - მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ; ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26.01.2023 წლის დადგენილება №2 - ონის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.11.2017 წლის დადგენილება №25 - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მუნიციპალიტეტების მიერ 2018-2022 წლების ბიუჯეტების გამოქვეყნების სტატისტიკა <sup>121</sup>						
	მუნიციპალიტეტი	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.
1	ამბროლაური <sup>122</sup>	არა	არა	კი	კი	კი
2	ონი <sup>123</sup>	კი	კი	კი	არა	არა
3	ცაგერი <sup>124</sup>	კი	კი	კი	კი	კი
4	ლენტეხი <sup>125</sup>	არა	არა	კი	კი	კი
5	ტყიბული <sup>126</sup>	არა	არა	კი	კი	კი
6	ხარაგაული <sup>127</sup>	არა	არა	არა	კი	კი
7	ჭიათურა <sup>128</sup>	კი	კი	კი	კი	კი
8	საჩხერე <sup>129</sup>	არა	არა	არა	კი	კი
9	ახმეტა <sup>130</sup>	-	-	-	-	-
10	თელავი <sup>131</sup>	კი	კი	კი	კი	არა

<sup>121</sup> 2023 წლის 9 მაისის მდგომარეობით;

<sup>122</sup> ამბროლაური მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.ambrolauri.gov.ge](http://www.ambrolauri.gov.ge) 2020, 2021 და 2022 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები გამოქვეყნებულია შესაბამისი ცვლილებებით, თუმცა არა კოდიფიცირებული სახით (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>123</sup> ონის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.oni.gov.ge](http://www.oni.gov.ge) გამოქვეყნებული უნდა იყოს 2018-2022 წლების მუნიციპალური ბიუჯეტები. თუმცა, მხოლოდ 2018-2020 წლების ბიუჯეტების თავდაპირველი ვერსიების ფაილები იხსნება და არ ახლავს კოდიფიცირებული ბიუჯეტების ფაილები. რაც შეეხება, 2021-2023 წლების ბიუჯეტებს, ლინკები არ მუშაობს და შესაბამისი წლების ბიუჯეტები არ იხსნება (ბოლო ნახვა 9.05.2023)

<sup>124</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.tsageri.gov.ge](http://www.tsageri.gov.ge) 2018-2022 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები გამოქვეყნებულია, თუმცა, არა კოდიფიცირებული სახით (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>125</sup> ლენტეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.lentekhi.gov.ge](http://www.lentekhi.gov.ge) გამოქვეყნებული 2020-2022 წლების მუნიციპალური ბიუჯეტები არ არის კოდიფიცირებული (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>126</sup> ტყიბულის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.tkibuli.gov.ge](http://www.tkibuli.gov.ge) გამოქვეყნებული 2020-2022 წლების მუნიციპალური ბიუჯეტები არ არის კოდიფიცირებული (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>127</sup> ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე [www.kharagaulinews.gov.ge](http://www.kharagaulinews.gov.ge) გამოქვეყნებული, 2021 და 2022 წლების მუნიციპალური ბიუჯეტები არ არის ხელმისაწვდომი კოდიფიცირებული სახით;

<sup>128</sup> მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.chiatura.gov.ge](http://www.chiatura.gov.ge) გამოქვეყნებული 2018-2022 წლების ბიუჯეტები არ არის ერთიანი კოდიფიცირებული სახით ხელმისაწვდომი (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>129</sup> საჩხერის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.sachkhere.gov.ge](http://www.sachkhere.gov.ge) მითითებული 2018-2020 წლების მუნიციპალური ბიუჯეტების ფაილები დაზიანებულია და არ იხსნება (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>130</sup> ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი [www.akhmeta.gov.ge](http://www.akhmeta.gov.ge) არ მუშაობს. შესაბამისად, უცნობია გამოქვეყნებულია თუ არა, 2018-2022 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები და წლიური მესრულების ანგარიშები (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>131</sup> თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.telavi.gov.ge](http://www.telavi.gov.ge) გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების ბიუჯეტები, თუმცა, არა კოდიფიცირებული ვერსიები. გარდა ამისა,

11	ყვარელი <sup>132</sup>	არა	არა	არა	არა	არა
12	ლაგოდეხი <sup>133</sup>	კი	კი	კი	კი	კი
13	გურჯაანი <sup>134</sup>	არა	არა	არა	კი	კი
14	საგარეჯო <sup>135</sup>	არა	არა	არა	არა	არა
15	სიღნაღი <sup>136</sup>	კი	არა	არა	კი	კი
16	დედოფლისწყარო <sup>137</sup>	არა	არა	არა	არა	კი

მუნიციპალიტეტების მიერ 2018-2022 წლების ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშების გამოქვეყნების სტატისტიკა <sup>138</sup>						
	მუნიციპალიტეტი	2018	2019	2020	2021	2022
1	ამბროლაური	არა	არა	არა	არა	კი

2022 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია მოქალაქის გზამკვლევი, მაგრამ არა 2022 წლის ბიუჯეტი (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>132</sup> ყვარლის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.kvareli.gov.ge](http://www.kvareli.gov.ge) ბიუჯეტთან დაკავშირებული შესაბამისი ლინკი არ იძებნება. თუმცა, საძიებო ველით შესაძლებელია „დამტკიცებული ბიუჯეტის“ და ბიუჯეტის შესრულების“ თაობაზე ინფორმაციის მოძიება. ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და შესრულების ანგარიშების შესახებ, 2015-2016 წლებს უკავშირდება და წარმოდგენილია არა სრული სახით. ამასთან ფაილები არ იხსნება (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>133</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი [www.lagodekhi.gov.ge](http://www.lagodekhi.gov.ge) გამოქვეყნებული 2018-2022 წლების ბიუჯეტები, წარმოდგენილია კოდიფიცირებული ვერსიების გარეშე (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>134</sup> გურჯაანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდზე [www.gurjaani.gov.ge](http://www.gurjaani.gov.ge) გამოქვეყნებული 2021-2022 წლების ბიუჯეტები, წარმოდგენილია კოდიფიცირებული ვერსიების გარეშე (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>135</sup> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.sagarejo.gov.ge](http://www.sagarejo.gov.ge) მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლების ბიუჯეტები, მხოლოდ 2015 და 2016 წლების შესახებ არის გამოქვეყნებული, თუმცა, ფაილები არ იხსნება (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>136</sup> სიღნაღის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი [www.signagi.gov.ge](http://www.signagi.gov.ge) (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>137</sup> დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე [www.dedoplistskaro.gov.ge](http://www.dedoplistskaro.gov.ge) მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების ბიუჯეტებთან და ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის სისტემატიზირებული, ქაოტურია და ხშირად შეუძლებელია იმის გარკვევა, გამოქვეყნებული დოკუმენტი, ბიუჯეტის პროექტია, თუ საკრებულოს მიერ ოფიციალურად დამტკიცებული დოკუმენტი (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>138</sup> 2023 წლის 9 მაისის მდგომარეობით;

2	ონი <sup>139</sup>	არა	არა	არა	არა	არა
3	ცაგერი <sup>140</sup>	კი	კი	კი	კი	კი
4	ლენტეხი <sup>141</sup>	არა	კი	კი	კი	კი
5	ტყიბული <sup>142</sup>	არა	არა	არა	კი	არა
6	ხარაგაული	არა	არა	კი	კი	კი
7	ჭიათურა <sup>143</sup>	კი	კი	არა	არა	კი
8	საჩხერე <sup>144</sup>	არა	არა	კი	კი	კი
9	ახმეტა <sup>145</sup>	-	-	-	-	-
10	თელავი <sup>146</sup>	არა	არა	კი	კი	კი
11	ყვარელი <sup>147</sup>	არა	არა	არა	არა	არა
12	ლაგოდეხი <sup>148</sup>	არა	არა	კი	კი	კი

<sup>139</sup> ონის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.oni.gov.ge](http://www.oni.gov.ge) მითითებულია, რომ გამოქვეყნებული უნდა იყოს 2020 და 2022 წლების მუნიციპალური ბიუჯეტის წლიური ანგარიშები, თუმცა ლინკები/ფაილები არ იხსნება. ისევე, როგორც 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>140</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.tsageri.gov.ge](http://www.tsageri.gov.ge) 2018-2022 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშებიდან სრულად გამოქვეყნებულია, 2021 და 2022 წლების ანგარიშები (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>141</sup> ლენტეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.lentekhi.gov.ge](http://www.lentekhi.gov.ge) გამოქვეყნებული 2020-2022 წლების მუნიციპალური ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები, სრული სახით წარმოდგენილია მხოლოდ 2021 და 2022 წლების მუნიციპალურ ბიუჯეტთან დაკავშირებით (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>142</sup> ტყიბულის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.tkibuli.gov.ge](http://www.tkibuli.gov.ge) გამოქვეყნებულია მხოლოდ 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ვარდა ამისა, 2019 და 2020 წლების მუნიციპალური ბიუჯეტები შესრულების ანგარიშების ნაცვლად წარმოდგენილია ბალანსის ფორმები (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>143</sup> მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.chiatura.gov.ge](http://www.chiatura.gov.ge) 2020 და 2021 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები წარმოდგენილია თითოეული კვარტალის სახით, თუმცა არა წლიური შესრულების ჭრილში (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>144</sup> საჩხერის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.sachkhere.gov.ge](http://www.sachkhere.gov.ge) მითითებული 2018-2019 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების ამსახველი ფაილები დაზიანებულია და არ იხსნება (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>145</sup> ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი [www.akhmeta.gov.ge](http://www.akhmeta.gov.ge) არ მუშაობს. შესაბამისად, უცნობია გამოქვეყნებულია თუ არა, 2018-2022 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები და წლიური შესრულების ანგარიშები;

<sup>146</sup> თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდი [www.telavi.gov.ge](http://www.telavi.gov.ge) (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>147</sup> ყვარლის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.kvareli.gov.ge](http://www.kvareli.gov.ge) ბიუჯეტთან დაკავშირებული შესაბამისი ლინკი არ იძებნება. თუმცა, საძიებო ველით შესაძლებელია „დამტკიცებული ბიუჯეტის“ და ბიუჯეტის შესრულების“ თაობაზე ინფორმაციის მოძიება. ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და შესრულების ანგარიშების შესახებ, 2015-2016 წლებს უკავშირდება და წარმოდგენილია არა სრული სახით. ამასთან ფაილები არ იხსნება (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>148</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი [www.lagodekhi.gov.ge](http://www.lagodekhi.gov.ge) (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

13	გურჯაანი <sup>149</sup>	არა	არა	არა	კი	არა
14	საგარეჯო <sup>150</sup>	არა	არა	კი	არა	არა
15	სიღნაღი <sup>151</sup>	არა	არა	არა	არა	არა
16	დედოფლისწყარო <sup>152</sup>	არა	არა	არა	კი	არა

ზემოთ მოყვანილ ცხრილებში აღნიშნული ინფორმაცია მოწმობს, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ბიუჯეტების და ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია.

#### 4. 2018-2022 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამები

კველვაზე მუშაობის დროს, ტყიბულის, ცაგერის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში გამოიკვეთა რიგი მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამები, რომლებსაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეს შესაბამის მუნიციპალიტეტებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობასთან და გენდერულ ბიუჯეტირებას მიემართებოდეს. კერძოდ საუბარია შემდეგ პროგრამებზე:

მუნიციპალიტეტი	პროგრამა	საანგარიშო პერიოდი 2018-2022 წწ.				
		2018	2019	2020	2021	2022
ტყიბული	გენდერული თანასწორობის ხელსეწყობის პროგრამა	არა	არა	კი	კი	კი

<sup>149</sup> გურჯაანის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდზე [www.gurjaani.gov.ge](http://www.gurjaani.gov.ge) მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშია გამოქვეყნებული, ხოლო 2022 წლის შემთხვევაში, ბიუჯეტის შესრულების ცხრა თვის ანგარიში (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>150</sup> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი [www.sagarejo.gov.ge](http://www.sagarejo.gov.ge) (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>151</sup> სიღნაღის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი [www.signagi.gov.ge](http://www.signagi.gov.ge) (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>152</sup> დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე [www.dedoplistskaro.gov.ge](http://www.dedoplistskaro.gov.ge) მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების ბიუჯეტებთან და ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის სისტემატიზირებული, ქაოტურია და ხშირად შეუძლებელია იმის გარკვევა, გამოქვეყნებული დოკუმენტი, ბიუჯეტის პროექტია, თუ საკრებულოს მიერ ოფიციალურად დამტკიცებული დოკუმენტი (ბოლო ნახვა, 9.05.2023);

ცაგერი	ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი	კი	კი	კი	კი	კი
ლაგოდები	გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა	არა	არა	კი	კი	კი

#### 4.1. ტყიბულის მუნიციპალიტეტი - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა

საანგარიშო პერიოდში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, პირველად 2020 წლისათვის იქნა გათვალისწინებული ცალკე პროგრამა,<sup>153</sup> რომელიც შემდეგი საიხით ჩამოყალიბდა:

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 04		5.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუმუშავლობა, სატანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებას და აღმოფხვრას.</p> <p>განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებების და შესაძლებლობების აღიარება, სქესის წიშით დისკრიმინაციის დაუმუშავლობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შედეგად მივიღებთ დისკრიმინაციისაგან დაცულ ოჯახებს.		

<sup>153</sup> ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბერის დადგენილება №18 - ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023 ;)



პროგრამა, რომელსაც 2020 წლისათვის მნიშვნელოვანი მიზნები ჰქონდა და 5000 ლარს შეადგენდა, არ შეიცავს ინფორმაციას, თუ რა გზით აპირებდა მუნიციპალიტეტი პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ამასთან, როგორც პროგრამიდან ირკვევა, პროგრამის განმახორციელებელი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური უნდა ყოფილიყო. უცნობია 2020 წლით განსაზღვრული პროგრამის განხორციელებაში რაიმე ფორმით ჩართული იყო თუ არა მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო. უფრო მეტიც, როგორც მომდევნო წლების ბიუჯეტებიდან ირკვევა,<sup>154</sup> მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შესრულების ნაწილში, გენდერული თანასწორობის ხელსაწყოების პროგრამით გახარჯული თანხის ველი ცარიელია დატოვებული.<sup>155</sup>

	დასახელება	2020 წლის ფაქტი	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
06 04	გენდერული თანასწორობის ხელსაწყოების პროგრამა	-	-	-

გენდერული თანასწორობის ხელსაწყოების პროგრამა გაგრძელდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში, სადაც პროგრამის ბიუჯეტი, მასთან დაკავშირებული მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და განმახორციელებელი სამსახური, წინა წლის ბიუჯეტიდან უცვლელად იქნა გადმოტანილი.<sup>156</sup> თუმცა, განსხვავებით წინა წლისგან, 2021 წლის ბიუჯეტში პროგრამა 5000 ლარის ნაცვლად,

<sup>154</sup> მაგ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

<sup>155</sup> ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბერის დადგენილება №19 - ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>156</sup> ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბერის დადგენილება №18 - ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

3900 ლარით დაფინანსდა. პროგრამის დაფინანსება მუნიციპალიტეტმა საკუთარი შემოსავლებიდან უზრუნველყო.<sup>157</sup>

იდენტური სახით გაგრძელდა პროგრამა 2022 წელსაც, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პროგრამით გათვალისწინებული 5000 ლარიდან, მუნიციპალიტეტმა ამჯერად 3800 ლარით დააფინანსა პროგრამა, საკუთარი შემოსავლებიდან.<sup>158</sup>

მისასაღმებელია ტყიბულის მუნიციპალიტეტის ინიციატივა, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა გახდა შესაძლებელი. თუმცა, ამავდროულად საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტმა სათანადოდ შეაფასოს საბჭოს საქმიანობის ეფექტურობა და საჭიროებები.

#### **4.2. ცაგერის მუნიციპალიტეტი - ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი**


ოფიციალური ჩანაწერებიც მიხედვით, საჯარო რეესტრის ბაზაში, იურიდიული პირი, სახელწოდებით: ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი არ იძებნება, თუმცა, სამენარმეო რეესტრის ბაზაში ირიცხება ა(ა)იპ სახელწოდებით - „ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი“, რომელიც 2014 წლის 9 დეკემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დაფუძნდა.<sup>159</sup> სავარაუდოდ ეს ერთი და იგივე ა(ა)იპ-ები უნდა იყოს.

---

<sup>157</sup> ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის დადგენილება №48 - ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>158</sup> ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბერის დადგენილება №48 - ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>159</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №2-146;



2014 წელს დამტკიცებული ცენტრის წესდების მიხედვით განისაზღვრა ორგანიზაციის ფუნქციები, საქმიანობის საგანი და ფორმები.<sup>160</sup>

<sup>160</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №2-146 ა(ა)პ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ;

## 2. მუხლი 1. ა(ა)იპ-ის ფუნქციები და საქმიანობის საგანია:

ა) გენდერული პოლიტიკის აქტუალიზება, ქალთა უფლებების დაცვა

ბ) ქალთა ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მშვიდობისა და დემოკრატიის მშენებლობაში;

გ) თანაბარი უფლებების შექმნა მოქალაქეებისათვის, საზოგადოების მგრძობელობის ამაღლება ქალთა საკითხებისადმი, ქალთა ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერა;

დ) გენდერულად სენსიტიური გარემოს შექმნა;

## მუხლი 3. საქმიანობის ფორმები

საწესდებო მიზნების მისაღწევად ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული საკითხების სამსახური:

- ეწევა ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის ხელშეწყობას
- ეწევა ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვას
- ძალადობის მსხვერპლი ქალების დასაქმებას
- ქალთა უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას
- ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას
- ხელს უწყობს ქალებისათვის მცირე ბიზნესისათვის განვითარებას
- ეწევა სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვას
- ახდენს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერულ საკითხებთან მიმართებაში
- ანხორციელებს გენდერთან დაკავშირებულ კვლევებს
- თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან.
- ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით

ცაგერის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოგვეყენებული ინფორმაციის მიხედვით, ცენტრში 21 ადამიანია დასაქმებული.<sup>161</sup> გარდა ამისა, ვებ-გვერდზე ცენტრის საქმიანობის ამსახველი ერთი, 2022 წლის ანგარიშია გამოქვეყნებული და ასე გამოიყურება:

<sup>161</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი [www.tsageri.gov.ge](http://www.tsageri.gov.ge), ბოლო ნახვა (9.05.2023);

ა/იპ "ქალთა, ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის" ცენტრის ანგარიში 2022 წ.

ა/იპ "ქალთა, ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის" ცენტრი წლის მანძილზე თავის საქმიანობას წლის დასაწყისში დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით ახორციელებდა. (გეგმა თან ახლავს)

1. მუდმივ განახლებად რეჟიმში მიმდინარეობს და შექმნილია გენდერული სტატისტიკა და ბავშვთა ბაზები, რომელზედაც მუშაობა მიმდინარეობს პერიოდულად.
2. ჩატარდა კვლევები თემების მიხედვით ბავშვთა რაოდენობის, მათი სოციალური მდგომარეობისა და ბავშვთა უფლებათა კოდექსის ინფორმირებულობის მიმართულებით
3. ცენტრის ხელმძღვანელი არის ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შექმნილი გენდერული საბჭოს წევრი და ახლენს საბჭოს ინფორმირებას მიმდინარე და განხორციელებულ ღონისძიებებზე
4. განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში სოციალური პროგრამებისა და ბავშვთა საქმიანობებზე მორგებული პროგრამების ანალიზი
5. წლის მანძილზე 3 კურს მომზადდა და გადაიგზავნა ინფორმაცია გაწვეული მუშაობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მათი მოთხოვნის შესაბამისად)
6. რამდენიმე სკოლაში მოეწყო პრევენციული ბუღინგისა და კიბერდანამაგულზე ასევე ქალთა მიმართ და ოჯახური ძალადობის მიმართულებით (დასაურიაში, ლაჯანა, ქვედა ცაგერი, ბარდნაღა)
7. მოეწყო ღონისძიება "ჩვენ გვემდერება", რომელიც მიეძღვნა სოფლად მცხოვრები ქალების დღეს და მასში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა თემებში მცხოვრები დასახლებული ქალები
8. ფონდ "ფუნაზინტერკონტის" ჩართულობით და ცენტრის ორგანიზებით ბარდნაღის სახურს საწარმოში ქალებისათვის ჩატარდა ტრენინგი სამწარმოო საქმიანობის მიმართულებით
9. გამოკვლევით იქნა ბავშვზე (ლაჯანის სკოლა) და ქალზე (ორბელი, ჩხუტელი, ოყურემი) ძალადობის 4 ფაქტი, ცენტრის თანამშრომლების მიერ აღინშნულ პირებს გაეწიათ კვალიფიციური დახმარება, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ ცენტრის სურთიფიცირებული ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ექიმი, ექთანი, ბავშვთა ოჯახის ინსპექტორი, ორისტი და ფსიქოლოგი, ამ ადამიანებს გაეწიათ უფასო სერვისი ყველა მიმართულებით, ცენტრის ადვოკატორების საფუძველზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში უზრუნველყო მათთვის ალტერნატიული ფართი დაფინანსებით და სხვადასხვა სასურსათო და სოციალური პაკეტების მომზადება.
10. ცენტრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16 დღიან კამპანიაში. კამპანიის ფარგლებში ცენტრის თანამშრომლებმა

დაამზადეს და მოსახლეობაში, საშხურებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში დაარიგეს საინფორმაციო სახის ფლაერები და 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში საშხურის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი, რათა უზრუნველყოთ მაქსიმალური ჩართულობა მოსახლეობისა. ძალადობის კვირეულის ფარგლებში დაზარადა და სოფ. ქსელეში გაკრეცლდა ცენტრის თანამშრომელთა ვიდეომიმართვები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა დამოკიდებულებისა და ჩართულობის ფოტო მასალა, ჩატარდა მრგვალი მაგიდა "არა ძალადობას!" მუზიკალური ლენტი მუნიციპალიტეტის სოფელ ხოფურში, რომელსაც საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, მშობლები, პედაგოგები ესწრებოდნენ და მასში ჩართული იყო ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლე ელენე ლუთოღანი. 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ცენტრის ორგანიზებით ლაჯანის საჯარო სკოლაში მოეწყო ფილმის "ხმა ამოღეს" ჩვენება და დისკუსია. ლაჯანის სკოლაში აღინშნულ ჩვენებას ესწრებოდნენ ლაილაშისა და ლაგორის საჯარო სკოლის ხელმძღვანელები და ბავშვები.

11. ცენტრის თანამშრომლები სოფელ ორბელში ძალადობის მსხვერპლი ქალისა და ბავშვების (5 ბავშვი ცხოვრობს ამ ოჯახში) ოჯახს ადგილზე ესტუმრნენ და გაეცნენ მათ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რის შემდეგაც მერისა წინაშე დააყენეს შუამდგომლობა მათი საცხოვრებელი ფართის გაუმჯობესების მიმართულებით. ოჯახში ერთერთი ბავშვი შშმ პირია
12. ცენტრის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ოქტომბრის თვეში დაგეგმილი საყოველთაო კამპანიის "ვარდისფერი ოქტომბერი" კამპანიის ფარგლებში, რომელიც ძუძუს კიბოს პრევენციის მიმართულებით განხორციელდა. დაარიგეს სხვადასხვა საინფორმაციო ბუკლეტები და უზრუნველყვეს დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების ჩატარება.
13. ცენტრმა საქართველოს "ქალთა საბჭოსთან" ერთად საპატიო სივლებით დააჯილდოვა ცაგერის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი რამდენიმე წარმატებული ქალბატონი.

მოუხედავად იმისა, რომ წლის დასაწყისში შემუშავებული და დამტკიცებული გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა საინტერესო პროგრამები და ღონისძიებები, ბიუჯეტის სიმცირის გამო ყველა მათგანის განხორციელება არ მოხერხდა, რაზედაც მერისა ვიზიტი გაითვალისწინონ შემდგომი წლისთვის.

აღინშნული საქმიანობები განახლებად რეჟიმში ქვეყნდება ა/იპ "ქალთა, ბავშვთა უფლებების" გვერდზე სოციალურ ქსელში.

ცენტრის დირექტორი-მარინე სვანიძე

როგორც ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების ბიუჯეტებიდან ირკვევა, საანაგარიშო პერიოდში, ცენტრმა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში 278,290 ლარის დაფინანსება მიიღო,<sup>162</sup> რაც წლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება.

<sup>162</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №65 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №60 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №26 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №24 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №28 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №38 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსიები, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი <sup>163</sup>	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.
	26,110	39,000	55,860	62,420	94,990

მუნიციპალიტეტის 2018 და 2019 წლების ბიუჯეტებში, ცენტრის დაფინანსების მიზნით, იდენტიური ჩანაწერებია:<sup>164</sup>

**3.2.8. ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 09)**  
 ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი.

**3.2.8. ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 09)**  
 ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი.

რაც შეეხება 2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, ცენტრის დაფინანსებასთან დაკავშირებით აღნიშნულია შემდეგი:<sup>165</sup>

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 09		56,8
პროგრამის განმახორციელებელი სასახური	ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი. მოსაწოდებია სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ქალთა ჩართულობის ზრდა; ქალებისათვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწოდება და მათში მონაწილეობის მიღება; ქალებისათვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უმარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.		

<sup>163</sup> იგივე, „ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი“;  
<sup>164</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №65 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №60 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსიები, ბოლო ნახვა, 9.05.2023);  
<sup>165</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №26 - ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

პრაქტიკულად იდენტურ ჩანაწერებს ვხდებით მუნიციპალიტეტის 2021 და 2022 წლების ბიუჯეტების იმ ნაწილებში, რომელიც ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრის დაფინანსებას უკავშირდება.

საყურადღებოა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტში 2018 წლის 12 მარტიდან შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო.<sup>166</sup> შესაბამისად, დღეისათვის მუნიციპალიტეტში კანონით სავალდებულო წესით გათვალისწინებული საბჭოს პარალელურად არსებობს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ, რომელიც თავისი ფუნქციებით მუნიციპალურ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის აღსრულებას უზრუნველყოფს, თუმცა რიგ საკითხებში - გადაფარულია გენდერული საბჭოს ფუნქციები. შესაბამისად, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე ეფექტური მექანიზმის არსებობა, რომელიც ადგილობრივ დონეზე შექმნილი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის პრაქტიკაში გატარებას უზრუნველყოფს, თუმცა მეორე მხრივ არსებითია დუბლირების გამორიცხვა.

#### 4.3. ლაგოდების - გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი დაფინანსება ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, პირველად 2020 წელს ჩაიდო და მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. თუმცა, 2020 წლის ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული 35,000 ლარის ნაცვლად<sup>167</sup>, იმავე წელს, რეალურად პროგრამაზე მხოლოდ 4,300 ლარი დაიხარჯა.<sup>168</sup> იდენტური თანხა 35,000 ლარი იყო გათვალისწინებული პროგრამისათვის 2021 წლის ბიუჯეტშიც, თუმცა, ამჯერად პროგრამა საერთოდ არ დაფინანსებულა.<sup>169</sup> პროგრამა გაგრძელდა 2022 წლის

<sup>166</sup> ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მაისის №81-81221404 წერილი;

<sup>167</sup> ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბერის დადგენილება №25 - ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>168</sup> ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბერის დადგენილება №34- ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>169</sup> ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბერის დადგენილება №23 - ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

ბიუჯეტშიც და ამჯერადაც პროგრამის ბიუჯეტი 35,000 ლარით განისაზღვრა,<sup>170</sup> თუმცა ტრადიციულად არც აქ დაირღვა და პროგრამა მხოლოდ მცირედით - 4,100 ლარით დაფინანსდა.<sup>171</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფისათვის 2020 წლიდან გათვალისწინებული დაფინანსება ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და რეალურად ბიუჯეტის დამტკიცების დროს პროგრამაზე მიმართული თანხები, საბოლოოდ სხვა პროგრამებზე იხარჯებოდა.

#### 4.4. ხარაგაულის, საჩხერის, ახმეტის, თელავის და გურჯაანის მუნიციპალიტეტები

მიუხედავად იმისა, რომ კველვის საანგარიშო პერიოდი არ მოიცავდა 2023 წელს, როგორც ხარაგაულის, საჩხერის, ახმეტის, თელავის და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 2023 წლის მუნიციპალური ბიუჯეტები მოწმობს, განსხვავებით წინა წლებისგან, 2023 წლისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯებია დაგეგმილი გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის მხარდასაჭერად. კერძოდ, 2023 წლიდან, საჩხერის, თელავის და გურჯაანის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში ჩნდება ცალკე განსაზღვრული თანხა, რაც სწორედ გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის მხარდაჭერაზე უნდა იყოს მიმართული.

მუნიციპალიტეტი	პროგრამა	ბიუჯეტი	საანგარიშო პერიოდი
საჩხერე <sup>172</sup>	გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელშეწყობა	4,900 ლ.	2023 წ.

<sup>170</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №23 - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>171</sup> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი [www.lagodekhi.gov.ge](http://www.lagodekhi.gov.ge) (ბოლო ნახვა 9.05.2023);

<sup>172</sup> საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №25 - საჩხერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);



თელავი <sup>173</sup>	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა	15,000 ლ.	2023 წ.
გურჯაანი <sup>174</sup>	გენდერული თანასწორობის საბჭოს დაფინანსება	25,900 ლ.	2023 წ.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, საჩხერის და გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტებში, მუნიციპალური პროგრამების დროს გამოყენებულია გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა. შესაბამისად, არაერთ პროგრამასთან მიმართებით მითითებულია გენდერული თანასწორობა,<sup>175</sup> ხოლო ხარაგაულის და ახმეტის 2023 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტებში, რიგ პროგრამებთან მიმართებით საუბარია პროგრამის გენდერულ ასპექტებზე.<sup>176</sup> თუმცა,

იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წელი არ წარმოადგენს წინამდებარე კვლევის დროის მონაკვეთს, ხარაგაულის, საჩხერის, ახმეტის, თელავის და გურჯაანის მუნიციპალიტეტების მიერ, 2023 წლის მინიციპალური ბიუჯეტებით დანერგილი სიახლეები ცალკე კვლევის საგანი შეიძლება გახდეს.

<sup>173</sup> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №22 - თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>174</sup> გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №53 - გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსია, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>175</sup> საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №25 - საჩხერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №53 - გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (კონსოლიდირებული ვერსიები, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), ბოლო ნახვა, 9.05.2023);

<sup>176</sup> ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №30 - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №62 ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), კონსოლიდირებული ვერსიები, ბოლო ნახვა, 9.05.2023);

კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად არაერთი ნაბიჯისა (საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე), კვლავ გამოწვევას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის საბჭოების ინსტიტუციური, უფლებამოსილებისა და კომპეტენციების ფარგლებში გაძლიერება. მათ მეტი ინფორმაცია და მექანიზმები სჭირდებათ კოორდინირებული და ადგილობრივ საჭიროებებზე დაფუძნებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად და ანგარიშვალდებულების გასაზრდელად. აგრეთვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება/განახლება და გენდერული ბიუჯეტირება - გენდერული პერსპექტივის ასახვა ბიუჯეტის ფორმირების მთლიან ციკლში, რაც მოიცავს როგორც დანახარჯების, ისე შემოსავლების დაგეგმვას.

დადასტურდა ძლიერი კავშირი სიღარიბის ფემინიზაციასა და გენდერულ, ოჯახში ძალადობას შორის. სიღარიბე, ისევე როგორც სოციალურ-ეკონომიკური დაცვის მექანიზმების სიმწირე მუნიციპალურ დონეზე, გავლენას ახდენს ძალადობრივი გარემოს ფორმირებასა და შენარჩუნებაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის ეფექტიანობის და წევრთა გაძლიერების მიმართულებით, არსებითია გადაიდგას ნაბიჯები, როგორც საბჭოს ინსტიტუციონალიზაციის ფარგლებში და გარდა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ჩანაწერისა, საჭიროა გენდერული თანასწორობის საბჭოების მანდატი და ფორმატი განისაზღვროს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დონეზე, აგრეთვე მოხდეს, მათი ადამიანური და ფინანსური რესურსით გაძლიერება.

- ინსტიტუციური მექანიზმები და საქმიანობა - მუნიციპალური გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები:

გენდერული თანასწორობის საბჭოების მაღალი ლეგიტიმაცია: აუცილებელია ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ფარგლებში საბჭოების მანდატის და ფორმატის განსაზღვრა;

გენდერული მექანიზმების სინქრონიზაცია და გენდერული საბჭოს ჩართვა ბიუჯეტირების წლიურ ციკლში: აუცილებელია გენდერული საბჭოების საქმიანობა ინტეგრირდეს საბიუჯეტო წლის ციკლთან და ამავდროულად, აუცილებელია ყურადღების გამახვილება მუნიციპალიტეტების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ოპერაციონალიზაციაზე. აუცილებელია პოლიტიკის/სამოქმედო გეგმების თითოეული ამოცანისათვის კონკრეტული გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა და მათ საფუძველზე საბიუჯეტო გეგმის შემუშავება, რათა დამყარდეს პირდაპირი კავშირი პოლიტიკურ დოკუმენტებსა და მათი განხორციელების მექანიზმებს - ბიუჯეტებს შორის, ეფექტური გენდერული მენისტრიმინგის/ბიუჯეტირებისთვის. მუნიციპალიტეტებმა (საკრებულო/მერია) უნდა შეაფასონ გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის თანხის უზრუნველყოფის შესაძლებლობა და საჭიროება;

აუცილებელია მუნიციპალურ დონეზე შემუშავდეს და დაინერგოს ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული გენდერული სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები: რომლებიც უნდა მოიცავდნენ სხვადასხვა ინდიკატორებს, როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ხელმისაწვდომობა ტრანსპორტზე, ეკონომიკაში ჩართულობა, მონყვლადობის სხვადასხვა ინდიკატორი, ძალადობის მიმართ მონყვლადობის რისკ-ფაქტორები, და ა.შ.). აუცილებელია მსგავსი სტატისტიკის პროაქტიული, მუდმივი წარმოება და მის საფუძველზე გენდერული ანალიზის განხორციელება საბიუჯეტო ციკლის დაწყებამდე, რათა მონაცემებზე დაფუძნებული მიგნებები გათვალისწინებული იყოს გენდერული ბიუჯეტირებისა და მენისტრიმინგის დროს;

საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე, განისაზღვროს კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში გენდერული ბიუჯეტირების ამოცანები: რაც შეიძლება იყოს ა. „დროის სიღარიბის“<sup>177</sup> პირობებში,<sup>178</sup> ტრადიციულ კონსერვატიულ კულტურულ გარემოში, ქალებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა ბავშვთა, შშმ პირთა და მოხუცთა

<sup>177</sup> Time Poverty: Obstacle to Women’s Human Rights, Health, and Sustainable Development, Elizabeth Hyde et. Al., 2020, ხელმისაწვდომია [ვებგვერდზე](#).

<sup>178</sup> Time Use Survey in Georgia: 2020-2021, UN Women, ხელმისაწვდომია [ვებგვერდზე](#).

მზრუნველობის სერვისებზე; ბ. ქალებისთვის გეოგრაფიულად, ფიზიკურად, ფინანსურად ხელმისაწვდომი, რეგულარულ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც თავის მხრივ, გაზრდის ქალების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკაში (ასევე იმის გათვალისწინებით რომ არსებული ინფორმაციით, ქალები ნაკლებად ფლობენ კერძო ავტოსატრანსპორტო საშუალებებს და მათთვის უფრო რთულია გადაადგილება და შესაბამისად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა); გ. დაცული საჯარო სივრცის ფორმირება (რაც მოიცავს ქუჩის განათებას, დაცული „მესამე სივრცეების“ არსებობას, და ა.შ.); დ. წყალი/ცხელი წყალი/ გათბობა; ე. დედათა და ჩვილთა ჯანდაცვა და სოციალური დაცვა; ვ. ზოგად განათლებასა და პროფესიულ განათლებაზე ქალებისთვის ხელმისაწვდომობის ზრდა, და ა.შ;

**რეალისტური პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგია, სამოქმედო გეგმები):** გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებმა სამოქმედო გეგმებით რეალისტური, შესრულებადი ვალდებულებები უნდა აიღონ;

**ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდა:** საკრებულოებმა უნდა გაზარდონ გენდერული თანასწორობის საბჭოების ანგარიშვალდებულების ხარისხი, მათ შორის გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; საკრებულოებმა უნდა შეიმუშაონ გენდერული თანასწორობის საბჭოების საქმიანობის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი და განეული საქმიანობის ამსახველი ანგარიშის ფორმა, რაც თავის თავში გააერთიანებს გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც;

**ფუნქციების გამიჯვნა ააიპ-სა და გენდერული თანასწორობის საბჭოს შორის და დუბლირების გამორიცხვა:** მუნიციპალიტეტებმა (საკრებულო/მერია) უნდა დაამღვიონ ყველა შესაძლო შემთხვევა, რაც შესაძლოა გენდერული თანასწორობის საბჭოს და მუნიციპალიტეტში არსებული სამსახურების და/ან ა(ა)იპების საქმიანობის დუბლირებას იწვევდეს;

▪ **კომპლექსური პოლიტიკის არ არსებობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:**

ძალადობისგან დაცვის თანამედროვე სტანდარტებზე, განახლებულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და კომპლექსური პოლიტიკის დაგეგმვის მიზნით, აუცილებელია კომუნიკაციის გაძლიერება ცენტრალურ და ადგილობრივ გენდერული თანასწორობის საბჭოებს შორის;

**ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა:** მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს, ბიუჯეტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების საკრებულოს მიერ დადგენილი წესით დროული გამოქვეყნება და ხელმისაწვდომობა.

▪ **სიღარიბის ფემინიზაცია, „მესამე სივრცისა“ და მობილობის ეფექტურობა:**

დაინტერესებული აქტორების, მათ შორის, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების (მათ შორის ინტერსექციული დისკრიმინაციის რისკის ქვეშ მყოფი ქალების) მონაწილეობით, შეიმუშაონ და დაამტკიცონ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტები. ადგილობრივ დონეზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ პერიოდული კვლევების საფუძველზე და მის შედეგებზე დაყრდნობით სხვადასხვა ტიპის სერვისების შემუშავება და ამოქმედება, მათ შორის, ე.წ. „მესამე“ დაცული სივრცეების შექმნა, ეკონომიკური და პროფესიული გაძლიერება, მობილობის უზრუნველყოფა და ჯანდაცვა.



1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
3. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ
4. შორენა კახიძე, „დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტი მუნიციპალიტეტებისათვის გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე“, გვ. 6, EPRC, თბილისი, 2020;
5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია (დამტკიცებულია 22.12.2022);
6. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია, საქართველოს პარლამენტის დადგენილება (დამტკიცებულია 23.03.2023);
7. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/51-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
8. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/52-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
9. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/53-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
10. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/55-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
11. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/57-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
12. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/49-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
13. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/50-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
14. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/51-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
15. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/52-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
16. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/53-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
17. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/54-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
18. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/55-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
19. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/56-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;
20. 2022 წლის 5 დეკემბრის #გ-01/57-22 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე;

21. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 19 დეკემბრის #77-77223532 წერილი;
22. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 14 დეკემბრის #79-7922348001 წერილი;
23. თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 12 დეკემბრის წერილი ელ.ფოსტაზე;
24. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 23 დეკემბრის 92-922235724 წერილი;
25. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 23 მაისის #77-77221437 წერილი;
26. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის დადგენილება №35;
27. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 15 ივნისის 79-7922166001 წერილი;
28. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის დადგენილება №13;
29. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 ივლისის ელექტრონული წერილი;
30. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №12;
31. თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 8 დეკემბრის ელექტრონული წერილი;
32. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის #2 კორესპონდენცია (სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში);
33. თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის #2 კორესპონდენცია (სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში);
34. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31.08.2022 წლის დადგენილება №28;
35. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4.11.2016 წლის დადგენილება №33;
36. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17.10.2014 წლის დადგენილება №40;
37. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.09.2013 წლის დადგენილება №36;
38. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.09.2013 წლის დადგენილება №23;
39. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4.04.2016 წლის დადგენილება №14;
40. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.03.2016 წლის დადგენილება №8;
41. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.01.2017 წლის დადგენილება №4;
42. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20.01.2016 წლის დადგენილება №2;
43. ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 3.08.2018 წლის დადგენილება №45;
44. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4.06.2018 წლის დადგენილება №27;
45. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18.11.2015 წლის დადგენილება №38;
46. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.03.2016 წლის დადგენილება №12;
47. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6.04.2016 წლის დადგენილება №17;
48. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26.01.2023 წლის დადგენილება №2;
49. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.11.2017 წლის დადგენილება №25;
50. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №2-146;
51. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 9 დეკემბრის ბრძანება №2-146

52. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მაისის №81-81221404 წერილი;
53. ევროპის კომისია:  
[https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda\\_22\\_3800](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800);
54. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო:  
<https://mrdi.gov.ge>;
55. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი:[www.ambrolauri.gov.ge](http://www.ambrolauri.gov.ge);
56. ონის მუნიციპალიტეტი: [www.oni.gov.ge](http://www.oni.gov.ge);
57. ცაგერის მუნიციპალიტეტი: [www.tsageri.gov.ge](http://www.tsageri.gov.ge);
58. ლენტეხის მუნიციპალიტეტი: [www.lentekhi.gov.ge](http://www.lentekhi.gov.ge);
59. ტყიბულის მუნიციპალიტეტი: [www.tkibuli.gov.ge](http://www.tkibuli.gov.ge);
60. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი: [www.kharagaulinews.gov.ge](http://www.kharagaulinews.gov.ge);
61. ჭიათურის მუნიციპალიტეტი: [www.chiatura.gov.ge](http://www.chiatura.gov.ge);
62. საჩხერის მუნიციპალიტეტი: [www.sachkhere.gov.ge](http://www.sachkhere.gov.ge);
63. ახმეტის მუნიციპალიტეტი: [www.akhmeta.gov.ge](http://www.akhmeta.gov.ge);
64. თელავის მუნიციპალიტეტი: [www.telavi.gov.ge](http://www.telavi.gov.ge);
65. ყვარლის მუნიციპალიტეტი: [www.kvareli.gov.ge](http://www.kvareli.gov.ge);
66. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი: [www.lagodekhi.gov.ge](http://www.lagodekhi.gov.ge);
67. გურჯაანის მუნიციპალიტეტი: [www.gurjaani.gov.ge](http://www.gurjaani.gov.ge);
68. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი: [www.sagarejo.gov.ge](http://www.sagarejo.gov.ge);
69. სიღნაღის მუნიციპალიტეტი: [www.signagi.gov.ge](http://www.signagi.gov.ge);
70. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი: [www.dedoplistskaro.gov.ge](http://www.dedoplistskaro.gov.ge).



ონის მუნიციპალიტეტში 2019 წლის 21 იანვარს და ზუსტად ერთი წლის თავზე, 2020 წლის 21 იანვარს გამართული გენდერული საბჭოს სხდომის ოქმები

21.01.2019 წ.	21.01.2020 წ.
<p>ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის</p> <p>ოქმი #1</p> <p>ქ. ონი 21 იანვარი 2019 წ.</p> <p>21 .01.2019 წ გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: შუქურა ჯაფარიძე, ზანანა მარკოიშვილი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვლადიმერ ბერელიძე, გივი მეტრეველი, სონია გუგუშაშვილი, ირმა მაქარაშვილი, ლამარა გამყრელიძე, ნინო გუმუზაძე, თამარ ჩიხრაძე, თამილა ჩიკვილაძე, მანანა ჩაგელიშვილი, ვანო ბალაშვილი, ლელა შერაზადიშვილი, ანნა ერისთავი, სერგო ლობჯანიძე.</p> <p>სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო გეგმა. ისაუბრა აღნიშნული გეგმის მნიშვნელობასა და როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამ კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პრობლემების აღმოფხვრის მნიშვნელობაზე, საჯარო სამსახურებსა და აიპ-ებში დასაქმებულთა გენდერული თანასწორობის დაცვის შესახებ, ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერულად სწორად დაგეგმვისა და განკარგვის თაობაზე და აღნიშნა, რომ გენდერული საბჭო ვალდებულია მოამზადოს გრძელვადიანი გეგმა, რომ საბჭო თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში და თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა კონკრეტული პრობლემური თემები.</p> <p>აზრი გამოთქვა ი. მაქარაშვილმა და აღნიშნა, რომ სასიამოვნო და მისასალმებელია, რომ ქვეყანა ამ კუთხით ვითარდება და გენდერული თანასწორობის საკითხი აქტუალურია. მისი თქმით, გუბერნიისა და მხარის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების ურთიერთთანამშრომლობით, თითოეული წევრის აქტიურობითა და მონაწილეობით და მოქალაქეთა ჩართულობით აუცილებლად დადგება ის სასურველი შედეგი, რომელიც უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით.</p> <p>შუქურა ჯაფარიძე </p> <p>ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე</p>	<p>ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის</p> <p>ოქმი #1</p> <p>ქ. ონი 21 იანვარი 2020 წ.</p> <p>21 .01.2020 წ გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: შუქურა ჯაფარიძე, ზანანა მარკოიშვილი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვლადიმერ ბერელიძე, გივი მეტრეველი, სონია გუგუშაშვილი, ირმა მაქარაშვილი, ლამარა გამყრელიძე, ნინო გუმუზაძე, თამარ ჩიხრაძე, თამილა ჩიკვილაძე, მანანა ჩაგელიშვილი, ვანო ბალაშვილი, ლელა შერაზადიშვილი, ანნა ერისთავი, სერგო ლობჯანიძე.</p> <p>სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო გეგმა. ისაუბრა აღნიშნული გეგმის მნიშვნელობასა და როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამ კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პრობლემების აღმოფხვრის მნიშვნელობაზე, საჯარო სამსახურებსა და აიპ-ებში დასაქმებულთა გენდერული თანასწორობის დაცვის შესახებ, ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერულად სწორად დაგეგმვისა და განკარგვის თაობაზე და აღნიშნა, რომ გენდერული საბჭო ვალდებულია მოამზადოს გრძელვადიანი გეგმა, რომ საბჭო თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში და თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა კონკრეტული პრობლემური თემები.</p> <p>აზრი გამოთქვა ი. მაქარაშვილმა და აღნიშნა, რომ სასიამოვნო და მისასალმებელია, რომ ქვეყანა ამ კუთხით ვითარდება და გენდერული თანასწორობის საკითხი აქტუალურია. მისი თქმით, გუბერნიისა და მხარის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების ურთიერთთანამშრომლობით, თითოეული წევრის აქტიურობითა და მონაწილეობით და მოქალაქეთა ჩართულობით აუცილებლად დადგება ის სასურველი შედეგი, რომელიც უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით.</p> <p>შუქურა ჯაფარიძე </p> <p>ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე</p>

# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის წერილი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 77-77223532  
თარიღი: 19/12/2022

ადრესატი: ღია სივრცე კავკასია  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405186070  
მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 4/6,  
კორპ. 3 ბინა 58

ღია სივრცე კავკასიას თავმჯდომარეს  
ქალბატონ ირმა პავლიაშვილს

ქალბატონო ირმა,

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ:

- 1.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.1.1“ პუნქტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი არ გაკეთებულა;
- 2.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.1.2.ა“ 2.1.2.ბ“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესრულების ამსახველი დოკუმენტები არ არსებობს;
- 3.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.2.1“ და „2.3.1“ პუნქტების თანახმად კვლევები არ ჩატარებულა;
- 4.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.5.1.ა“, „2.5.1.ბ“ და „2.5.1.გ“ პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობის შესრულების ამსახველი დოკუმენტები არ არსებობს;
- 5.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის „2.6.3“ პუნქტით გათვალისწინებული კვლევები არ ჩატარებულა.

პატივისცემით,

ასლან საგანელიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული მტკაპი



# ონის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წლის 14 დეკემბრის წერილი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
G E O R G I A  
COUNCIL OF ONI MUNICIPALITY



წერილის ნომერი: 79-7922348001  
თარიღი: 14/12/2022

ადრესატი: ღია სივრცე კავკასია  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405186070  
მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 4/6,  
კორპ. 3 ბინა 58

ღია სივრცე კავკასია  
ქალბატონ ირმა პავლიაშვილს

თქვენნი 2022 წლის 5 დეკემბრის გ-01/50-22 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების დეტალური ანალიზის ამსახველი დოკუმენტი ამ ეტაპზე არ გვაქვს.

ბაჩანა მარკოიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



# ლაგოდების მუნიციპალიტეტი - ანგარიში ხელმოწერის და თარიღის გარეშე



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია GEORGIA CITY HALL OF LAGODEKHI MUNICIPALITY



წერილის ნომერი: **92-922235724**  
თარიღი: **23/12/2022**

ადრესატი: ღია სივრცე კავკასია  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405186070  
მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 4/6,  
კორპ. 3 ბინა 58

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიაში ა/წლის 5 დეკემბერს N გ-01/56-22 შემოსული თქვენი "განცხადების პასუხად გაცნობებით: საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-80 მუხლის შესაბამისად, „თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს“.  
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი განცხადება ქვემდებარეობს განსახილველად გადაეგზავნა ქ.ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

პატივისცემით,

ჯონდო მდიენიშვილი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



**ლაგოების მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში**

ლაგოების მუნიციპალიტეტში 2018 წლის თებერვალში შეიქმნა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც აერთიანებს 12 წევრს, საბჭო დაკომპლექტებულია, როგორც საკრებულოს წევრებით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. 2018 წლის მეორე ნახევარში ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით ვიმუშავეთ გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლის გეგმაზე (2018 წელს გამოიყო 5000 ლარი, ხოლო 2019 წელს 31 000 ლარი). 2020 წელს GIZ-მა ლაგოების მუნიციპალიტეტი პირადად სამიხნე მუნიციპალიტეტად, სადაც გენდერულად მგრძობიარე პროგრამულ ბიუჯეტზე იმუშავეს.

რაც შეეხება განხორციელებულ საქმიანობებს, 2018 წლის ბოლის პასუხისმგებელ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგები გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ხოლო საბჭოს წევრებმა გაიარეს ტრენინგები ტრენინგები, რომელიც განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის "ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის მხარდაჭერით". ასევე გაიმართა რამოდენიმე ლონგმიტი, მოეწყო ფილმის ჩვენება სკოლის მოსწავლეებისთვის საბჭოს ინიციატივით, ხოლო 2019 წელს 15 თემის 67 სოფელში ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, რომელიც ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად და ასევე საბჭოს საქმიანობის გაცნობას. გეგმის მჭიდრო კავშირი ლაგოების ადგილობრივი განვითარების აგენტთან (L.A.G), რომლის მხარდაჭერითაც განახორციელეთ სხვადასხვა აქტივობები და ტრენინგ-სემინარები. ასევე ვითანამშრომლეთ S.A.G.A.S-თან და ქალთა ფონდთან.

ასევე 2019 წლის სოციალურ პროგრამაში შევიტანეთ ცვლილებები, რაც გამოიხატა მალადომის მსხვერპლი ქალების დაფინანსებასა და მარტოხელა და მარტნალდაკარგული შობილების დაფინანსებას.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით მიხუროხდა შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა(პანდუსები).

ჩატარდა ქალების კონკურსი, მოეწყო შეხვედრა სხვა მუნიციპალიტეტის საბჭოს წევრებთან, უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის მოეწყო ფილმის ჩვენება- პირველი რესპუბლიკის წარმატებული ქალები.

ლაგოების მუნიციპალიტეტი შეუერთდა ევროპულ ქარტიას ,, ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ"

გენდერული თანასწორობის საბჭოს 3 წევრმა გაიარეს გენდერული მეინსტრიმინტის შესახებ ონ-ლაინ კურსები.

პანდემიის გამო ვერ მიხუროხდა დავაგებული გენდერული კვირეულის ჩატარება, თუმცა საბჭომ მონაწილეობა მიიღო ქალთა და მამაკაცთა მალადომის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიან კამპანიაში და გააკეთა ოფიციალური განცხადება, მედია-პოსტები და ონ-ლაინ კონფერენცია გამართა, რომელშიც ჩართული იყვნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

პანდემიის დროს საბჭო აუცილებელი პროდუქტებით და საჭირო ნივთებით ეხმარებოდა

განსაკუთრებული საჭიროებები მქონე მოქალაქეებს.

საბჭოს დახმარებით უფასო სამედიცინო კვლევები ჩაუტარდათ გარკვეული ასაკის ქალბატონებს.

დაარსების დღიდან საბჭოს ძირითადი მიზანი მოსახლეობაში სტერეოტიპების მსხვერვა და დამოკიდებულებების შეცვლაა, რასაც უკვე სერთიფიცირებული საბჭოს წევრები შეხვედრების და ტრენინგების მეშვეობით ახორციელებენ.

საბჭოს წევრებმა გაიარეს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგები, რომელთა თემატიკა გენდერული მეინსტრიმინტი, ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და გენდერული თანასწორობა და სხვა თემატიკის საკითხებია.

# თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი

https://www.telavi.gov.ge/ge/genderuli-tanascorobis-sabcho-2

The screenshot shows the website for the Telavi Municipality. At the top, there is a header with the contact number 0350 27 36 50 and social media icons. The main navigation bar includes links for 'მთავარი', 'მუნიციპალიტეტი', 'აფილიზირებული ხელისუფლება', 'მოქალაქის', 'ბიზნესი', 'სერვისები', and 'საჯარო ინფორმაცია'. The page title is 'გენდერული თანასწორობის საბჭო'. The main content area features a grid of four boxes: 'გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება', 'გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა', 'ოფიციალური დოკუმენტები', and 'ახალი ამბები'. On the right side, there is a vertical list of links under the heading 'საპარამპო და აპარამპო', including 'საქართველოს თავმჯდომარე', 'საქართველოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე', 'საქართველოს თავმჯდომარის მოადგილეები', 'საქართველოს წევრები', 'საქართველოს ბიურო', 'საქართველოს კომისიები', 'საქართველოს ფრაქციები', 'ფრონტილი სამუშაო ჯგუფები', 'საქართველოს აპარატი', 'საქართველოს წევრების ანგარიშები', 'საქართველოს სხდომები', 'გენდერული თანასწორობის საბჭო', and '2017-2021 წლის საქართველოს არჩევი'. At the bottom, there are icons for 'მედიის ცენტრი', 'დაცემული ხელისუფლება', 'სიღებო', 'აქტიუმი', 'პროექტები', 'გამოცემა', and 'დოკუმენტები'.

# ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი

https://www.akhmeta.gov.ge/ge/genderuli-tanascorobis-sabcho

The screenshot shows the website for the Akhmeta Municipality. At the top, there is a header with the contact number 0350 27 36 50 and social media icons. The main navigation bar includes links for 'მთავარი', 'მუნიციპალიტეტი', 'აფილიზირებული ხელისუფლება', 'მოქალაქის', 'ბიზნესი', and 'საჯარო ინფორმაცია'. The page title is 'გენდერული თანასწორობის საბჭო'. The main content area features a grid of four boxes: 'გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება', 'გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა', 'ოფიციალური დოკუმენტები', and 'ახალი ამბები'. On the right side, there is a vertical list of links under the heading 'საპარამპო და აპარამპო', including 'საქართველოს თავმჯდომარე', 'საქართველოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე', 'საქართველოს თავმჯდომარის მოადგილეები', 'საქართველოს წევრები', 'საქართველოს ბიურო', 'საქართველოს კომისიები', 'საქართველოს ფრაქციები', 'ფრონტილი სამუშაო ჯგუფები', 'საქართველოს აპარატი', 'საქართველოს წევრების ანგარიშები', 'საქართველოს სხდომები', 'გენდერული თანასწორობის საბჭო', and '2017-2021 წლის საქართველოს არჩევი'. At the bottom, there are icons for 'მედიის ცენტრი', 'დაცემული ხელისუფლება', 'სიღებო', 'აქტიუმი', 'პროექტები', 'გამოცემა', and 'დოკუმენტები'.


## გურჯაანის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი

The screenshot shows the website for Gurjaani Municipality. The URL is https://www.gurjaani.gov.ge/ge/genderuli-tanascorobis-sabcho. The page features the municipality's logo and navigation menu. The main heading is 'გენდერული თანასწორობის საბჭო' (Gender Equality Council). Below this, there is a news item with a photo of a meeting and text: 'გურჯაანის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სესიონი ოქტომბერში # 3' and '16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ'.


## ჭიათურის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი

The screenshot shows the website for Chiatura Municipality. The URL is chiatura.gov.ge/ge/sxvadasva-inpormacia. The page features the municipality's logo and navigation menu. The main heading is 'სსგპდსსგპ ინფორმაცია' (Gender Equality Strategy Information). Below this, there is a news item with a photo of a meeting and text: '2019-2020 წლის გენდერული სამოქმედო გეგმა' and 'ჭიათურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა'.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი




## ტყიბულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი






ხარაგაულის მუნიციპალიტეტს აქვს გამოქვეყნებული გენდერული საბჭოს საქმიანობის ამსახველი ანგარიში, ისიც, მხოლოდ 2018 წლის საქმიანობის, ხოლო 2019 წლის საქმიანობის ანგარიშის ამსახველი გვერდი დაზიანებულია




გვერდი ვერ მოიძებნა!!!

**404** NOT FOUND

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამოქვეყნებულია 2020-2021 წლების საშუალო ვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგია, თუმცა, დოკუმენტის ნაწილი არ იკითხება



მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის ამსახველი ის ნაწილი, სადაც სხდომის ოქმი უნდა იყოს წარმოდგენილი





ღია სივრცე კავკასია  
2023

